

შპს რითეილ ჯგუფი
მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს/ IFRS for SME)

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერი

Mob: (+995) 514 111-115
დ/დიდოში ი პეტრინის ქ 14
I.PETRITSI St. D/DIGOMI TBILISI
E-mail: m_kvirkashvili@cu.edu.ge

მთავარი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ბიზნეს - გარემო	5
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
4. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები	9
5. ძირითადი საშუალებები	11
6. გუდვილი	12
7. მარაგები	12
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	13
10. საწესდებო კაპიტალი	13
11. მიღებული სესხები	13
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
13. შემოსავლების ანალიზი კატეგორიის მიხედვით	14
14. კომერციული ხარჯები	14
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14
16. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები	15
17. პირობითი ვალდებულებები	15
18. საწარმოთა გაერთიანება	16
19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	17
20. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები	17

Mob: (+995) 514 111-115
დ/დიღომი ი პეტრიტის ქ 14
I.PETRITSI St. D/DIGOMI TBILISI
E-mail: m_kvirkashvili@cu.edu.ge

პეტაშვილი

გოგი

PWC

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „რითეილ ჯგუფის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძვლები“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „რითეილ ჯგუფის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტი ჩატარდა:

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც შედის:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2019 წლის 3 დეკემბერს და, შესაბამისად, ვერ დავესწარიტ ინვენტარიზაციის პროცედურას და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი მტკიცებულება, ალტერნატიული საშუალებებით, მარაგების რაოდენობასთან მიმართებაში. იქიდან გამომდინარე, რომ საწყისი მარაგების ნაშთი გავლენას ახდენს ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე, ჩვენ ვერ განვასაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა შესწორებების განხორციელება მოგებაზე, რომელიც ნაჩვენებია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში და საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულად სახსრებზე, რომელიც წარმოდგენილია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს პირობითი დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური მოვალეობები IESBA კოდექსის სტანდარტების შესაბამისად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

Mob: (+995) 514 111-115
დ/დილოში ი პეტრიშის ქ 14
I.PETRITSI St. D/DIGOMI TBILISI
E-mail: m_kvirkashvili@cu.edu.ge

მ. კვირიკაშვილი

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ მმართველობითი ანგარიშს და განვიხილოთ, მმართველობითი ანგარიში არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნათ, რომ მმართველობითი ანგარიშში არსებითი ცდომილებაა, ჩვენი ვალდებულებაა მივუთითოთ ეს ფაქტი. ამ მხრივ არაფერი გვაქვს აღსანიშნი.

გარდა ამისა, "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების თანახმად, ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება, თუ რამდენად შეესაბამება მმართველობითი ანგარიშის ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, შეიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიში "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობითი ანგარიშში მოცემული ინფორმაცია იმ ფინანსური წლის შესახებ, რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობითი ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

როგორც ზემოთ „პირობითი მოსაზრების საფუძვლები“ ნაწილში აღვნიშნეთ, ჩვენ ვერ დავესწარიტ ინვენტარიზაციის პროცედურას და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი მტკიცებულება, ალტერნატიული საშუალებებით, მარაგების რაოდენობასთან მიმართებაში. ჩვენ არ შეგვიძლია დავასკვნათ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად მცდარი ამ საკითხთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა და "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, თუ ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი

Mob: (+995) 514 111-115

დ/დიდოში ი პეტრიტის ქ 14

I.PETRITSI St. D/DIGOMI TBILISI

E-mail: m.kvirikashvili@cu.edu.ge

მარი ფხ

მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკე-ცალკე გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ასე-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის პრინციპების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს მოქმედება როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება უნდა გაგამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაა დევკვატური იქნება, შეცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორის დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

შპს ფრაისუთერპაუსკუპერს საქართველო (რეგ. # SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (რეგ. # SARAS-A-506913)

2020 წლის 16 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

Mob: (+995) 514 111-115
დ/დიღომი ი პეტრიძის ქ 14
I. PETRITSI St. D/DIGOMI TBILISI
E-mail: m_kvirkashvili@cu.edu.ge

მ. კ. ვირიკაშვილი

შპს რითეილ ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასობით ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	26,152	14,343
გუდვილი	6	381	508
სხვა არამატერიალური აქტივები		619	389
სულ გრძელვადიანი აქტივები		27,152	15,240
მიმდინარე აქტივები			
მოთხოვნები აქციონერთა მიმართ		-	2
მარაგები	7	25,879	12,923
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	8,252	6,031
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	3,213	2,879
სულ მიმდინარე აქტივები		37,344	21,835
სულ აქტივები		64,496	37,075
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	15,543	15,543
დაუფარავი ზარალი		(11,421)	(3,574)
სულ კაპიტალი		4,122	11,969
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	9,502	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9,502	-
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	5,434	5,014
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	45,438	20,092
სულ მიმდინარე ვალდებულებები		50,872	25,106
სულ ვალდებულებები		60,374	25,106
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი			
64,496	37,075		

ხელმოწერილი და დამტკიცებულია გამოსაცემად დირექტორთა საბჭოს მიერ 2020 წლის 17 სექტემბერს.

ლაშა ჩოჩელი
დირექტორი

გიორგი ტაბახელაშვილი
ფინანსური დირექტორი

Mob: (+995) 514 111-115
დ/დ/ილმონი ი კატარინის ძ 14
I.PETRITSI St. D/DIGOMI TBILISI
E-mail: m_kvirkashvili@cu.edu.ge

მთავარი ფინანსი

თანდართული განმარტებითი შენიშვნები 5-17 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს რითეილ ჯგუფი
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასობით ლარში	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
შემოსავალი	13	194,526	69,372
გაყიდვების ღირებულება		(161,698)	(58,665)
საერთო მოგება		32,828	10,707
სხვა შემოსავალი		1,128	351
კომერციული ხარჯები	14	(34,637)	(11,088)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(6,256)	(2,953)
სხვა მოგება / (ზარალი), წმინდა		(99)	-
საოპერაციო ზარალი		(7,036)	(2,983)
ფინანსური შემოსავალი	16	66	32
ფინანსური ხარჯი	16	(877)	(403)
ზარალი დაბეგვრამდე		(7,847)	(3,354)
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		-	-
ზარალი წლის განმავლობაში		(7,847)	(3,354)
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		-	-
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში		(7,847)	(3,354)

Mob: (+995) 514 111-115
 დ/დიგომი ი პეტრიშის ქ 14
 I.PETRISHI St. D/DIGOMI TBILISI
 E-mail: m_kvirkashvili@cu.edu.ge

მთელი ჯგუფი

თანდართული განმარტებითი შენიშვნები 5-17 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს რითეილ ჯგუფი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ათასობით ლარში	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
2018 წლის 1 იანვრისთვის	4,090	(220)	3,870
ზარალი წლის განმავლობაში	-	(3,354)	(3,354)
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში -	-	(3,354)	(3,354)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	11,453	-	11,453
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	15,543	(3,574)	11,969
ზარალი წლის განმავლობაში	-	(7,847)	(7,847)
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში -	-	(7,847)	(7,847)
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	15,543	(11,421)	4,122

გაბრიელ გუბია

Mob: (+995) 514 111-115
დ/დიდოში ი პეტრიტის ქ 14
I.PETRITSI St. D/DIGOMI TBILISI
E-mail: m_kvirkashvili@cu.edu.ge

თანდართული განმარტებითი შენიშვნები 5-17 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს
შპს რითეილ ჯგუფი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ათასობით ლარში	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან ზარალი დაბეგვრამდე		(7,847)	(3,354)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	3,888	1,282
დაზიანებული(ვადაგასული) საქონლის ჩამოწერა		4,273	487
მოგება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		24	-
ფინანსური ხარჯი	16	875	30
ფინანსური შემოსავალი	16	(66)	(32)
სავალუტო კურსთაშორისი სხვაობა		(30)	358
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე:		1,117	(1,229)
ცვლილებებისაბრუნავ კაპიტალში:			
მარაგები		(17,229)	(13,410)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(2,041)	(4,692)
სავაჭრო და სხვა ვადებულებები		25,078	19,951
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		66	32
გადახდილი პროცენტი		(863)	(16)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		6,128	636
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(15,402)	(15,674)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(310)	(504)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გასული წმინდა ფულადი სახსრები		(15,712)	(16,178)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან აღებული სესხები		63,117	5,000
დაფარული სესხები		(53,207)	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	10	-	12,637
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		9 910	17,637
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		8	16
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში		2,879	768
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	9	3,213	2,879

თანდართული განმარტებითი შენიშვნები 5-17 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს რითეილ ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები-2019 წლის 31 დეკემბერი

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა შპს რითეილ ჯგუფის ("კომპანია") 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა (მსს ფასს/ IFRS for SME) და "ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

კომპანია დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ("შპს") 2017 წლის 7 ნოემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, საიდენტიფიკაციო ნომრით: 436041659. კომპანია დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე.

2018 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის წილის მფლობელები არიან:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
შპს რითეილ ინვესტმენტს	60.00%	60.00%
შპს დოლნეი ქენსალტენტს	26.67%	26.67%
ზურაბი ხიზანიშვილი	13.33%	13.33%

2018 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანიას არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობა მთელ საქართველოში „მაგნიტის“ ბრენდის ქვეშ საცალო მაღაზიებით ვაჭრობა. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა 207 მაღაზია (2018 წლის 31 დეკემბერი: 117 მაღაზია). კომპანიის მიერ შემოთავაზებული საქონელი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, საკვებ პროდუქტებს (მალფუჭებადი, არამალფუჭებადი), ჰიგიენურ საშუალებებს, სასმელებსა და სხვა.

იურიდიული მისამართი. კომპანიის იურიდიული მისამართია: მცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი, სათავო ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი # 18.

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში ("ლარი"), თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

2. ბიზნეს-გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობებს ახორციელებს საქართველოში. განვითარებადი ეკონომიკები, საქართველოს მსგავსად, ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს და მგრძნობიარეა გლობალური ბაზრის პირობებისა და ეკონომიკური რეცესიების მიმართ. შედეგად, საქართველოში საქმიანობას შეიძლება ჰქონდეს გარკვეული რისკები, რომლებიც ჩვეულებრივ არ უკავშირდება განვითარებულ ბაზრებზე არსებულ რისკებს. ამის მიუხედავად, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ განახორციელა არაერთი სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სავაჭრო რეფორმა, რამაც დადებითად იმოქმედა ქვეყნის მთლიან საინვესტიციო გარემოზე. დღეს, საქართველო საერთაშორისო მასშტაბით ცნობილია, როგორც ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყანა. ბოლო 3 წლის განმავლობაში მსოფლიო ბანკის (WB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ბიზნესის კეთების (Doing Business) რეიტინგში საქართველო 190 ქვეყანას შორის პირველ ათეულში შედის, იგი, ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ, მსოფლიო რეიტინგში მე-6 ადგილზეა (190-დან), რეიტინგში წინა წელთან შედარებით ქვეყნის პოზიცია 3 ადგილით გაუმჯობესდა. ქვეყანას თითქმის ყველა კატეგორიაში მაღალი პოზიცია უკავია, რითაც ადასტურებს რეგიონალური ლიდერის პოზიციას და უსწრებს ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებს. საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, საქართველო ასევე გამოირჩევა კორუფციის დაბალი დონით, დაბალი საგადასახადო განაკვეთებითა და ინსტიტუტების მაღალი გამჭვირვალობით.

საქსტატის მონაცემების მიხედვით, მშპ-ის ზრდამ 2019 წელს 5.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2018 წელს წლიურმა ზრდამ 4.8% შეადგინა. რეალური ზრდა ძირითადად განპირობებული იყო შემდეგი სექტორების ზრდით: წარმოება, მშენებლობა, საბითუმო და საცალო ვაჭრობა და უძრავი ქონება.

მარიკა ციცი

Mob: (+995) 514 111-115
დ/დომონი ი პეტრისი ქ 14
I. PETRITSI ST. D/DIGOMI TBILISI
E-mail: m_kvirkashvili@cu.edu.ge

E-mail: m_kvirikashvili@cu.edu.ge

საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივებზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

მარაგები. მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და სუფთა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ყოველი საანგარიშო თარიღისთვის მარაგები ფასდება გაუფასურების მიხედვით. გაუფასურების შემთხვევაში, საბალანსო ღირებულება მცირდება გასაყიდ ფასამდე, რასაც აკლდება ხარჯები. გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხები. თვითღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს. ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა სხვა სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯების ასახვა ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწევისთანავე.

მიწაზე არ ხდება ცვეთის დარიცხვა. სხვა ძირითად საშუალებებზე დასარიცხი ცვეთა გაიანგარიშება წრფივი მეთოდით, რათა ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განაწილდეს მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი მოსალოდნელი ექსპლუატაციის პერიოდის განმავლობაში:

• შენობა-ნაგებობები	10-25 წელი
• ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა	3-5 წელი
• სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
• მანქანა -დანადგარები	5-10 წელი
• იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	3-10 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულების, ექსპლუატაციის პერიოდისა და ცვეთის მეთოდების გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგების „მოგება-ზარალში“.

გუდვილი. გუდვილი არის საწარმოთა გაერთიანების ღირებულების ნამეტი თანხა, მყიდველი საწარმოს წილზე იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გუდვილის ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით საექსპლუატაციო ვადაზე. გუდვილის საექსპლუატაციო ვადა განისაზღვრება ხუთი წლით, მენეჯმენტის საუკეთესო შეფასების საფუძველზე. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს, არსებობს თუ არა გუდვილის გაუფასურების რაიმე ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება. გუდვილზე გაუფასურების ზარალის ანაზღაურება არ ხდება.

გაუფასურების ანალიზის მიზნებისთვის, გუდვილი მიკუთვნებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე (CGU) (ან CGU-ების ჯგუფები). გუდვილი განაწილდება მყიდველი საწარმოს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ყველა ერთეულზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სარგებელს მიიღებენ საწარმოთა გაერთიანებით განპირობებული სინერგიიდან, მიუხედავად იმისა, შეძენილი საწარმოს სხვა აქტივები და ვალდებულებები მიკუთვნებულია თუ არა ამ ერთეულებზე.

სხვა არამატერიალური აქტივები. ცალკე შეძენილი ლიცენზიები (პროგრამული უზრუნველყოფის ჩათვლით) აღირიცხულია თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი ლიცენზიების აღირიცხვა ხდება შეძენის დღეს არსებული რეალური ღირებულებით, თუ შეუძლებელია რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე. ლიცენზიებს აქვს საექსპლუატაციო ვადა და აღირიცხება თვითღირებულების მიხედვით, აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით საექსპლუატაციო ვადაზე.

Mob: (+995) 514 111-115

მ/მთელი ი პეტრიტსი ქ 14

I. PETRITSI St. D/DIGOMI TBILISI

E-mail: m_kvirkashvili@cu.edu.ge

მ. კ. კვირკაშვილი

შემენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება კონკრეტული პროგრამის შემენისა და ექსპლუატაციაში გაშვებისთვის გაწეული ხარჯების მიხედვით. ამ ხარჯების ამორტიზაცია ხდება მოსალოდნელი საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში. პროგრამის ექსპლუატაციის სავარაუდო ვადა ხუთი-შვიდი წელია.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ცვეთას/ამორტიზაციას დაქვემდებარებული აქტივები მოწმდება გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად ყოველი საანგარიშო თარიღისთვის. აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნების არსებობის დადგენის შემთხვევაში მოხდება აქტივის საბალანსო ღირებულების (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული, რომელზეც მიკუთვნებულია აქტივი) შემოწმება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი არის თანხა, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების ანალიზის მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს ცალკეული ფულადი სახსრების ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული). არაფინანსური აქტივები, გუდვილის გარდა, რომლებმაც განიცადეს გაუფასურება, გადაიხედება გაუფასურების მაჩვენებლის შესაძლო შეცვლის მიზნით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

მიღებული სესხები. სესხები თავდაპირველად ფასდება გარიგების ღირებულებით (ანუ ბანკში გადასახდელი ფულადი სახსრების ამჟამინდელი ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). შემდგომში სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. პროცენტის ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და შედის ფინანსურ ხარჯებში.

სესხები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფს აქვს უპირობო უფლება გადადოს ვალდებულების დაფარვა საანგარიშგებო თარიღიდან არანაკლებ 12 თვით. **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.** სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება გარიგების ღირებულებით და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ანარიცხები. ანარიცხი უნდა აღიარდეს მაშინ, როდესაც: კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად; სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხების შეფასება ხდება დაბეგვრამდე არსებულ განაკვეთით, რომელშიც გათვალისწინებულია ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებისა და მოცემული ვალდებულებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკები. ანარიცხების თანხის ზრდა დროის გასვლის გამო აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

პერსონალის ხარჯი. ხელფასები, სარგო, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს იურიდიული და კონსტრუქციული ვალდებულება პენსიის ან მსგავსი დახმარების გაცემაზე.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწყისი საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილებები შედის მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

შემოსავლების აღიარება. შემოსავალი ფასდება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პერიოდში საქონლის რეალიზაციისგან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი მითითებულია გაყიდვების გადასახადის/დამატებითი ღირებულების გადასახადის, დაბრუნებული თანხის, ფასჩამოკლებებისა და ფასდაკლებების გარეშე.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც: შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება; სავარაუდოა მომავალი ეკონომიკური სარგებელის მიღება; და დაკმაყოფილდება კონკრეტული კრიტერიუმები კომპანიის თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებით, როგორც აღწერილია ქვემოთ.

საქონლის რეალიზაცია - საცალო ვაჭრობა. კომპანია ეწევა საცალო მაღაზიებით ვაჭრობას მთელი საქართველოს მასშტაბით. საქონლის გაყიდვა აღირიცხება, როდესაც კომპანია მომხმარებელს მიჰყიდის პროდუქტს, რადგანაც კონტროლი გადადის მომხმარებელზე იმ დღეს, როდესაც გარიგება ხდება. საცალო ვაჭრობა, როგორც წესი, ხორციელდება ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათით.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მ. პეტრისი

Mob: (+995) 514 111-115
დ/მომსახირობის ი პეტრისის ქ 14
I.PETRITSI St. D/DIGOMI TBILISI
E-mail: m_kvirkashvili@cu.edu.ge

ფასდათმობა. სავაჭრო ფასდათმობა, რომელიც მოიცავს საქონლის შესაძენად მომწოდებლების მიერ გაცემულ ფასდაკლებას, პირველ რიგში, აღირიცხება როგორც მარაგის ღირებულების შემცირება და გაყიდვისას აისახება გაყიდვის ფასში.

საშემოსავლო გადასახადი. საშემოსავლო გადასახადი მოცემულია აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის მოქმედი ან ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ შეიტანა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმად, კომპანიები (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამოქვეყნებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგრვას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ „გადასახადებში“, და არა მოგების გადასახადში.

ოჯარა. როდესაც არ ხდება საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა, მაშინ ასეთი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო. საოპერაციო იჯარის დროს გადახდილი თანხები (გარდა მეიჯარის მიერ იჯარასთან დაკავშირებით განხორციელებული გადახდებისა) აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით საიჯარო პერიოდის ვადაზე.

დივიდენდის განაწილება. კომპანიის მფლობელისთვის დივიდენდის განაწილება აღირიცხება ვალდებულების სახით კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები დამტკიცდება კომპანიის მფლობელების მიერ.

ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ცვლილების განხორციელება შესაძლებელია კომპანიის მენეჯმენტის თანხმობით.

4. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებებისა და ვარაუდების მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპების გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იღებს გადაწყვეტილებებს. გადაწყვეტილება, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება, მოიცავს:

ფუნქციონირებადი საწარმო. მენეჯმენტმა წინამდებარე ფინანსური ანგარიშები მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა და გაანალიზა მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებმა მიმდინარე აქტივებს გადააჭარბა 13, 528 ათასი ლარით (2018 წლის 31 დეკემბერი: 3 271 ათასი ლარი) და დაარსების დღიდან კომპანიას აქვს საოპერაციო ზარალი. კომპანიისთვის ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით, მენეჯმენტმა მიმართა სხვადასხვა ალტერნატიულ მეთოდს, მათ შორის: მოლაპარაკებების წარმოება მომწოდებლებთან გადასახდელი დღის გაგრძელებისა და მათი პროდუქციის სრულად გაყიდვის შემდეგ გადასახდელი ვალდებულებების დაფარვის მიზნით, აგრეთვე ფინანსური ინსტიტუტთან ხელშეკრულების გაფორმება საკრედიტო ხაზის შესახებ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა საქმიანობა ხელს შეუწყობს კომპანიას, რომ მომავალში არ ჰქონდეს ფულადი დეფიციტი. ლიკვიდურობის გაუმჯობესება მოსალოდნელია პროაქტიული ზრდის პერიოდის შემდეგ, როდესაც კომპანია დაასტაბილურებს თავის საქმიანობას, რაც გამოიწვევს მომგებიანობის გაზრდას და ლიკვიდურობის გაუმჯობესებას.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საექსპლუატაციო პერიოდი. ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო პერიოდს განსაზღვრავს მენეჯმენტი მსგავს აქტივებთან მუშაობის გამოცდილების საფუძველზე. აქტივის საექსპლუატაციო პერიოდის დადგენისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, როგორებიცაა: მოსალოდნელი წარმადობა, სავარაუდო ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც აქტივი გამოიყენება. აღნიშნულ პირობებში ან შეფასებებში ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის მაჩვენებლების კორექტირება. თუ რეალური საექსპლუატაციო პერიოდი 10% -ით განსხვავდებოდა მენეჯმენტის შეფასებისგან, 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ცვეთის გავლენა იქნებოდა 368 ათასი ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 114 ათასი ლარი).

Mob: (+995) 514 111-115

მ/მკომი ი კეტირის ქ 14

I.PETRITSI St. D/DIGOMI TBILISI

E-mail: m_kvirkashvili@cu.edu.ge

მ. კვირკაშვილი

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობები	მანქანა - დანადგარები	ავიჯი და კომპ. ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალება	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	სულ
<i>ათასობით ლარში</i>						
თვითღირებულება 2017 წლის						
31 დეკემბრისთვის	-	57	22	-	5	84
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება 2017 წლის						
31 დეკემბრისთვის	-	57	22	-	5	84
დამატებები	47	4,719	3,824	653	4,341	13,584
შეძენა საწარმოთა						
გაერთიანების გზით	453	660	697	-	-	1,810
სამორტიზაციო ხარჯები	(37)	(395)	(467)	(23)	(213)	(1,135)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის						
31 დეკემბრისთვის	463	5,041	4,076	630	4,133	14,343
თვითღირებულება 2018 წლის						
31 დეკემბრისთვის	500	5,436	4,543	653	4,346	15,478
დაგროვილი ცვეთა	(37)	(395)	(467)	(23)	(213)	(1,135)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის						
31 დეკემბრისთვის	463	5,041	4,076	630	4,133	14,343
დამატებები	-	4,963	3,896	380	6,455	15,694
გასვლა	-	(150)	-	(12)	(42)	(204)
სამორტიზაციო ხარჯები	(49)	(1,184)	(1,367)	(127)	(954)	(3,681)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის						
31 დეკემბრისთვის	414	8,670	6,605	871	9,592	26,152
თვითღირებულება 2019 წლის						
31 დეკემბრისთვის	500	10	249 8,439	1,021	10,759	30,968
დაგროვილი ცვეთა	(86)	(1,579)	(1,834)	(150)	(1,167)	(4,816)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის						
31 დეკემბრისთვის	414	8,670	6,605	871	9,592	26,152

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 25 531 ლარად (2018: 13,713) შეფასებული ძირითადი საშუალებები, ზოგერთი სატრანსპორტო საშუალების გარდა, გადაეცათ მესამე პირებს სესხის უზრუნველყოფად. იხილეთ მე-17 შენიშვნა.

მ. კვირიკაშვილი

Mob: (+995) 514 111-115
დ/დიდოზი ი პეტრიტის ქ 14
I.PETRITSI St. D/DIGOMI TBILISI
E-mail: m_kvirkashvili@cu.edu.ge

6. გუდვილი

ათასობით ლარში

გუდვილი

შეძენა საწარმოთა გაერთიანების გზით სამორტიზაციო ხარჯები	635 (127)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	508
თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის დაგროვილი ცვეთა	635 (127)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის სამორტიზაციო ხარჯები	508 (127)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის თვითღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის დაგროვილი ცვეთა	381 635 (254)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	381

7. მარაგები

ათასობით ლარში

2019 წლის 31 დეკემბერი

2018 წლის 31 დეკემბერი

გასაყიდი საქონელი	24,270	12,333
შესაფუთი მასალები	1,302	535
სხვა	307	55
სულ	25,879	12,923

25,879 ათასი ლარის მარაგები (2018: 12,923 ათასი) დაგირავებულია სესხის უზრუნველსაყოფად სახით. იხილეთ მე-17 შენიშვნა. გაყიდვების ღირებულების პერიოდის განმავლობაში ხარჯად აღრიცხული მარაგების ღირებულებამ შეადგინა 161, 698 ათასი ლარი (2018 წელი: 58, 655 ათასი).

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასობით ლარში

2019 წლის 31 დეკემბერი

2018 წლის 31 დეკემბერი

სავაჭრო მოთხოვნები	224	49
მოთხოვნები მომწოდებლებისგან	5,902	2,825
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ფარგლებში	6,126	2,874
წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი		
გადასახადები, საშემოსავლო გადასახადის გარდა	964	1,860
წინასწარი გადახდები	694	1,170
სხვა მისაღები	468	127
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,252	6,031

მ. კვირიკაშვილი

Mob: (+995) 514 111-115
დ/დიგომი ი პეტრისი ქ 14
I.PETRITSI St. D/DIGOMI TBILISI
E-mail: m_kvirkashvili@cu.edu.ge

მიმწოდებლებისგან მისაღები თანხა მოიცავს ფასდაკლების წინასწარ განსაზღვრულ პროცენტს, რომელიც მომწოდებლებმა საქონლის შესაძენად გაიღეს.

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ათასობით ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფული ბანკში	2,511	2,455
ნაღდი ფული	417	326
სატრანზიტო ანგარიშზე ნაღდი ფული	285	98
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	3,213	2,879

10. საწესდებო კაპიტალი

2017 წლის 20 ნოემბრის კომპანიის მფლობელთა დადგენილებისა და საბჭოს ოქმის საფუძველზე, საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1,500 ათასი აშშ დოლარით და შემდგომ მფლობელის 2018 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე გაიზარდა 4,500 ათასი აშშ დოლარით. მესაკუთრეთა მიერ 2017 და 2018 წლების განმავლობაში განხორციელებული ფულადი შენატანების მოცულობამ შეადგინა 15,543 ათასი ლარი (6,000 ათასი აშშ დოლარი). 2019 წელს კაპიტალის დამატებითი ზრდა არ დაფიქსირებულა.

11. მიღებული სესხები

ათასობით ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი	9,502	-
მიმდინარე	5,434	5,014
სულ სესხები	14,936	5,014

კომპანიის სესხები დენომინირებულია ლარში. საკრედიტო ხაზის ვადა სრულდება 2020 წლის აპრილს და საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10.5% (2018: 10%). 2019 წლის 27 მარტს მიღებული საბანკო სესხის ვადა იწურება 2024 წლის სექტემბერში და საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10%. საბანკო სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ქონებით, ძირითადი საშუალებებითა და მარაგებით (შენიშვნა 5, 7).

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასობით ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	42,924	18,623
ვალდებულებები ძირითადი საშუალებების შეძენიდან	400	108
დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტორები	1,343	968
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ფარგლებში	44,667	19,699
დარიცხული პერსონალის ხარჯი	692	393
სხვა ვალდებულებები	79	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	45,438	20,092

შოთაძე ცნო

Mob: (+995) 514 111-115
დ/დიგომი ი პეტრისი ქ 14
I.PETRITSI St. D/DIGOMI TBILISI
E-mail: m_kvirkashvili@cu.edu.ge

13. შემოსავლების ანალიზი კატეგორიის მიხედვით

ათასობით ლარში	2019	2018
არასასურსათო	70,590	23,597
საკვები: მალფუჭებადი	69,066	21,718
საკვები: არამალფუჭებადი	54,60	23,269
სხვა	266	788
სულ შემოსავალი	194, 526	69,372

14. კომერციული ხარჯები

ათასობით ლარში	2019	2018
სახელფასო და მასთან დაკავშირებული გადასახადები	14,295	3,810
ძირითადი საშუალებების საოპერაციო საიჯარო ხარჯები	7,613	2,424
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	3,723	1,216
კომუნალური მომსახურების ხარჯები	3,687	1,491
სარეკლამო ხარჯები	1,185	250
სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	1,118	493
მომარაგების ხარჯი	874	391
საწვავის ხარჯი	805	311
საბანკო მომსახურების ხარჯი	602	150
უსაფრთხოების სამსახური	288	70
სატელეკომუნიკაციო ხარჯები	282	140
შენახვისა და მიწოდების ხარჯები	28	93
სხვა კომერციული ხარჯები	137	249
სულ კომერციული ხარჯები	34,637	11,088

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ათასობით ლარში	2019	2018
სახელფასო და მასთან დაკავშირებული გადასახადები	3,806	2,147
პროფესიონალური მომსახურების ხარჯი	726	185
ძირითადი საშუალებების საოპერაციო საიჯარო ხარჯები	449	160
საშემოსავლო გადასახადის გარდა სხვა გადასახადები	203	74
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	165	66
მივლინების ხარჯები	154	46
სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	140	75
საკანცელარიო ხარჯები	73	37
სატელეკომუნიკაციო ხარჯები	50	25
კომუნალური მომსახურების ხარჯები	34	30
საბანკო მომსახურების ხარჯი	24	27
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	432	81

პეტრისი ჯორჯი

Mob: (+995) 514 111-115
დ/დიდილინგო ი პეტრისის ქ 14
I. PETRITSI St. D/DIGOMI TBILISI
E-mail: m_kvirkashvili@cu.edu.ge

სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

6,256

2,953

16. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ათასობით ლარში	2019	2018
ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების საპროცენტო შემოსავალი	66	32
ფინანსური შემოსავალი	66	32
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	(875)	(30)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(2)	(373)
ფინანსური ხარჯები	(877)	(403)
სუფთა ფინანსური ხარჯები	(811)	(371)

17. პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება. ჩვეულებრივი ბიზნესის წარმოებისას, კომპანია ექვემდებარება სამართლებრივ ქმედებებსა და საჩივრებს. საკუთარ შეფასებასა და შიდა და გარე პროფესიონალურ კონსულტაციებზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შედარებით ახალია და ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებასა და ცვლილებებს და სასამართლო გადაწყვეტილებებს, რაც ხშირ შემთხვევაში საკმარისად ნათელი არ არის და შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. გადასახადები ექვემდებარება სახელმწიფო ორგანოების მიერ შემოწმებასა და კვლევას, რის შედეგადაც შეიძლება დაირიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოების მიერ შესწავლას ექვემდებარება სამი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ ვითარებაში, ეს პერიოდი შეიძლება გაიზარდოს. ასეთი გარემოებები, რომლებსაც საქართველოში საგადასახადო რისკებისკენ მივყავართ, არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები. კომპანიას იჯარით აღებული აქვს სხვადასხვა საცალო სავაჭრო ობიექტი და საწყობი შეუქცევადი საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებების საფუძველზე. საიჯარო ვადა ხუთიდან 10 წლამდეა. საიჯარო ხელშეკრულებების უმეტესობა განახლებადია საიჯარო პერიოდის ბოლოს საბაზრო განაკვეთით.

სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახადები შეუქცევადი საოპერაციო იჯარის პირობებით შემდეგია:

ათასობით ლარში	2019	2018
1 წლამდე	10,321	5,043
1 -დან 5 -წლამდე	38,517	19,655
5 წელზე მეტი	30,852	14,824
სულ საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები 31 დეკემბრის	79,690	39,522

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. 31 დეკემბრის მდგომარეობით უზრუნველსაყოფად კომპანიას დაგირავებული აქვს შემდეგი აქტივები:

ათასობით ლარში	შენიშვნა	2019	2018
<i>პეტრისი ვიტსი</i> Mob: (+995) 514 111-115 დ/დიღომი ი პეტრისის ქ 14 I.PETRITSI St. D/DIGOMI TBILISI E-mail: m.kvirikashvili@cu.edu.ge			

ძირითადი საშუალებები	5	25,531	13,713
მარაგები	7	25,879	12,923
სულ დაგირავებული და შეზღუდული აქტივები			
31 დეკემბრის მდგომარეობით		51,410	26,636

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვით კანონმდებლობაში მიმდინარეობს ცვლილებები, რაც არ გამოირიცხავს შემდგომში ახალი ვალდებულებების წარმოქმნას. კომპანია პერიოდულად აფასებს გარემოსდაცვითი რეგულაციების შესაბამისად ნაკისრ ვალდებულებებს. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას არსებული რეგულაციების, სამოქალაქო დავის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, არ შეიძლება შეფასდეს, მაგრამ შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ აქვს გარემოსდაცვით რეგულაციებთან შესაბამისობასთან დაკავშირებული რაიმე მიმდინარე ვალდებულება.

ფინანსურ შეზღუდვებთან (კოვენანტებთან) შესაბამისობა. კომპანია ექვემდებარება გარკვეულ ფინანსურ შეზღუდვებს, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია მის სესხებთან. აღნიშნული შეზღუდვების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები კომპანიისთვის, მათ შორის, სესხების ღირებულების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება. კომპანიას აღნიშნული შეზღუდვები არ ქონდა შესრულებული 2018 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2019 წლის 31 დეკემბერს კომპანიამ ბანკისგან მიიღო კონკრეტული კოვენანტის დარღვევის შესახებ შეტყობინება, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული ბანკის მიერ დეფოლტის წინაპირობად შესაბამისი სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე. 2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიას არ მიუღია შეტყობინება ბანკისგან, არანაირი უარყოფითი შედეგი არ აღინიშნა ბანკისგან, რადგან სესხი იყო მოკლევადიანი ხელშეკრულების ვადის თვალსაზრისით. (შენიშვნა 11).

18. საწარმოთა გაერთიანება

2018 წლის 8 იანვარს კომპანიამ შეიძინა ძირითადი საშუალებები, სხვა არამატერიალური აქტივები და შპს „მაგნიტის“ მარაგები. მენეჯმენტმა აღრიცხა გარიგება, როგორც საწარმოთა გაერთიანება, გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიამ შეისყიდა შპს „მაგნიტის“ ყველა აქტივი და დაიწყო მუშაობა იმავე ლოკაციებზე, სადაც ადრე კომპანია მუშაობდა. ძირითადად, ყველა თანამშრომელი გადავიდა შპს „რითეილ ჯგუფში“. შეძენილი ოპერაციები გაზრდის კომპანიის მიერ არჩეულ საცალო ბაზრებზე შეღწევას და, სავარაუდოდ, გააუმჯობესებს მომგებიანობას მასშტაბის ეფექტით.

გაერთიანების ღირებულება განისაზღვრა შემდეგნაირად:

ათასობით ლარში	2018
შესყიდვა:	
- გადახდილი ნაღდი ფული	3,299
- სავაჭრო ვალდებულება - დაიფარა 2019 წლის განმავლობაში	228
სულ შესყიდვა	3,527

შენაძენის შედეგად წარმოშობილი შპს „მაგნიტის“ აქტივების რეალური ღირებულება 2018 წლის 8 იანვრის მდგომარეობით შემდეგია:

ათასობით ლარში	რეალური ღირებულება
მარაგები	2,104
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 5)	1,810
არამატერიალური აქტივები, გუდვილის გარდა	72
შეძენილი აქტივების რეალური ღირებულება	3,986
გუდვილი	635
სულ შესყიდვის ანაზღაურება	4,621

მარიკა ვილი

4,621
 Mob: (+995) 514 111-115
 დ/დილომი ი პეტრისი ქ 14
 I. PETRITSI St. D/DIGOMI TBILISI
 E-mail: m_kvirkashvili@cu.edu.ge

გუდვილი მიეკუთვნება სამუშაო ძალას და ბიზნეს ოპერაციებს / პროცესებს.

19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, დაკავშირებულ მხარეები წარმოადგენს მხარეებს, რომლებიც იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, ან რომელიმე მხარეს აქვს შესაძლებლობა გააკონტროლოს მეორე მხარე ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერაციული გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

დაკავშირებული მხარეების დაუფარავი ნაშთები:

ათასობით ლარში		31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მოთხოვნები აქციონერთა მიმართ	სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები	-	2
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები	495	579
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	მთავარი ხელმძღვანელი პირები	98	19
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სხვა დაკავშირებული მხარეები	62	30
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები	-	(1)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მთავარი ხელმძღვანელი პირები	(5)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა დაკავშირებული მხარეები	(348)	(276)

"სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები" არიან ის პირები, რომელთაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ჯგუფის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებებში, რომელთაც ისინი ტრანზაქციას ახორციელებენ, ჯგუფის 20% -ზე მეტი ხმის მიცემის უფლების კონტროლის გზით, ან სხვაგვარად.

დაკავშირებული მხარეების შემოსავლები და ხარჯები:

ათასობით ლარში		31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მომწოდებლის მიერ ფასდაკლებები	სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები	1,633	846
საქონლის შესყიდვა გადაყიდვის მიზნით	სხვა დაკავშირებული მხარეები	(11,962)	(2,108)
ძირითადი საშუალებების შეძენა	სხვა დაკავშირებული მხარეები	-	(2,399)
არამატერიალური აქტივის შესყიდვა	სხვა დაკავშირებული მხარეები	-	(155)
შენახვისა და მიწოდების ხარჯები	სხვა დაკავშირებული მხარეები	-	(60)

მენეჯმენტის კომპენსაცია. მენეჯმენტისთვის გადახდილი კომპენსაცია აღმასრულებელი მენეჯმენტის თანამდებობებზე გაწეული სრული სამსახურისთვის განისაზღვრება 575 ათასი ლარის (2018: 355 ათასი) ოდენობის სახელფასო ანაზღაურებითა და პრემიით.

20. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ახალ ამბებში პირველად გაჟღერდა ჩინეთიდან COVID-19 (კორონავირუსის) გავრცელების შესახებ. წლის ბოლოსთვის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისთვის ცნობილი იყო უცნობი ვირუსის შემთხვევათა შეზღუდული რაოდენობა. 2020 წლის პირველ თვეებში, ვირუსი გავრცელდა გლობალურად და მისი უარყოფითი გავლენა გაიზარდა. მენეჯმენტი აღნიშნულ

გარედი ვაჭი

Mob: (+995) 514 111-115
დ/დიგომი ი პეტრისი ქ 14
I. PETRITSI ST. D/DIGOMI TBILISI
petrits@tskhulimedu.ge

დაავადების გავრცელებას მიიჩნევს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენად. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მდგომარეობა კვლავ ნარჩუნდება ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დროს, დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნულს არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის გაყიდვებზე ან მიწოდების ჯაჭვზე, თუმცა, სამომავლო შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია.

კომპანიის საქმიანობაში განხორციელდა შემდეგი ძირითადი ცვლილებები:

- COVID-19-ით გამოწვეული ე.წ. ლოკდაუნის პერიოდში შემოსავლების მაჩვენებლები გაიზარდა, რადგანაც ბევრი მომხმარებელი დაბრუნდა იმ სოფლებში, სადაც კომპანიის სუპერმარკეტების უმრავლესობა მუშაობს. თუმცა, მეორე მხრივ, მთავრობის მიერ დაწესებული კომენდანტის საათის გამო, კომპანიას მოუწია სამუშაო საათების შეცვლა და სუპერმარკეტებში ვიზიტორთა რაოდენობის შეზღუდვა.
- გაიზარდა ხარჯები, რადგან კომპანიას მოუწია დაეცვა თანამშრომლებისა და მომხმარებლების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება; შესაბამისად, კომპანიამ შეიძინა დამცავი მოწყობილობა და სანიტარული საშუალებები;
- მენეჯმენტი და აქციონერები იმედოვნებენ, რომ მომდევნო პერიოდში გაიზრდება მომხმარებელთა რაოდენობა, რადგან ის სეგმენტი, რომელზეც კომპანია მუშაობს, ორიენტირებულია დაბალ ფასებზე და აქვს მაღალი შეღწევადოვა მთელი საქართველოს მასშტაბით;
- კომპანიას აქვს მიმდინარე მოლაპარაკებები საფინანსო ინსტიტუტთან დაუფარავ დავალიანებასთან დაკავშირებით. ანგარიშის ხელმოწერის თარიღისთვის რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

მენეჯმენტი გააგრძელებს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა შესაძლო ზომას უარყოფითი გავლენის შესამცირებლად.

2020 წლის 14 თებერვალს, საბჭომ გადაწყვიტა საწესდებო კაპიტალის გაზრდა 6,440 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი 18,509 ათასი ლარით. საწესდებო კაპიტალში შენატანი შეიტანეს მხარეებმა მათი წილების პროპორციულად: შპს რითეილ ინვესთმენტს - 3,864 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი 11,105 ათასი ლარი, შპს დოლნი ქენსალთენტს - 1,718 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი 4,936 ლარი და ზურაბი ხიზანიშვილი 858 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი 2,467 ათასი ლარი.

2020 წლის 14 თებერვალს, საბჭოს დადგენილების საფუძველზე, ზურაბი ხიზანიშვილის წილი გადაეცა შპს „მეიდანზე“-ს. ცვლილებები ძალაში შევიდა 2020 წლის 21 თებერვლიდან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის თანახმად.

2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კომპანიას აქვს 226 სუპერმარკეტი, დამატებით 19 გაიხსნება წლის ბოლოს.

მ. კვირიკაშვილი

Mob: (+995) 514 111-115

დ/დირიგირი ი პეტრისი ქ 14

I.PETRITSI St. D/DIGOMI TBILISI

E-mail: m_kvirkashvili@cu.edu.ge

შინაარსი

1. ბიზნესის განვითარება, საქმიანობა და პოზიცია	2
2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები	3
3. კომპანიის სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის მიმოხილვა;	4
4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ	4
5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	4
6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	5
7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები	5
8. საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი სახსრების მოძრაობის რისკების და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა	6
9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, კომპანიის მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით	6

მ. კვირიკაშვილი

Mob: (+995) 514 111-115
დ/დიღომი ი პეტრიტის ქ 14
I.PETRITSI St. D/DIGOMI TBILISI
E-mail: m_kvirkashvili@cu.edu.ge

შპს რითეილ ჯგუფი

მმართველობითი ანგარიში 2019

1. ბიზნესის განვითარება, საქმიანობა და პოზიცია

შპს „რითეილ ჯგუფი“ დაარსდა 2017 წლის 7 ნოემბერს და 2018 წლის იანვრიდან დაიწყო სუპერმარკეტების ქსელით ოპერირება „მაგნიტის“ ბრენდის ქვეშ.

კომპანიის მისია შემუშავდა შემდეგნაირად: რეგიონებში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და მეტი აქტივობების დანერგვა.

კომპანიის დევიზი არის „მაგნიტი“ საქართველოს ყველა რეგიონში!

„მაგნიტი“ არის სუპერმარკეტების ქსელი თბილისში, სადაც პროდუქციის მრავალფეროვანი არჩევანი და ფასდაკლების აქციებია, რომელიც აქცენტს ქსელის საქართველოს რეგიონებში განვითარებაზე აკეთებს.

იგეგმება მაგნიტის ქსელის გაფართოება საქართველოს მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, ქალაქებსა და სოფლებში.

სუპერმარკეტები მომხმარებელს მრავალფეროვან ასორტიმენტსა და ბრენდებს სთავაზობენ. კომპანიის სტრატეგია შემდეგია: მომხმარებლისთვის ყოველდღიურად ხელმისაწვდომი იყოს საჭირო და სასურველი საქონელი ყველა მაღაზიაში, მათ შორის მალფუჭებადი პროდუქცია, მშრალი კვება, ტკბილეული და საკონდიტრო ნაწარმი, აგრეთვე ექსკლუზიური ბრენდები არამალფუჭებად და არასასურსათო სეგმენტში.

სუპერმარკეტების ქსელი ორიენტირებულია რეგიონებში მომხმარებლებისთვის მარტივი და სასიამოვნო სავაჭრო გამოცდილების გაზიარებაზე.

კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2018 წლის დასაწყისში 22 სუპერმარკეტით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 117 სუპერმარკეტი უკვე ფუნქციონირებდა „მაგნიტის“ ბრენდის ქვეშ. 2019 წლის ბოლოს, კომპანიას ჰქონდა 207 სუპერმარკეტი. მნიშვნელოვანი გაფართოების შედეგად, 2019 წლის ბოლოს კომპანიას ეკავა წამყვანი პოზიცია რეგიონალური სუპერმარკეტების ქსელში და კონკურენტული პოზიცია თბილისში.

2019 წელს კომპანია ასევე იყო ორიენტირებული თბილისში გაფართოებაზე. 90 ახალი სუპერმარკეტიდან 25 გაიხსნა დედაქალაქში.

კომპანიის ზრდა მხოლოდ ორგანული განვითარების შედეგად მოხდა, სხვა ქსელების შეძენა არ მომხდარა. 2019 წელს გაფართოების ფინანსური წყარო იყო ბანკის გრძელვადიანი კრედიტი. 2019 წლის განმავლობაში, კომპანიამ თვეში საშუალოდ 7-8 სუპერმარკეტი გახსნა.

სუპერმარკეტი „მაგნიტი“ მომხმარებლებს სთავაზობს სასაქონლო პროდუქციის ფართო არჩევანს. კომპანიის ზოგადი პირობა მომხმარებლებისთვის არის "ყოველდღიური მაგნიტური ფასები", რამაც ხელი შეუწყო „მაგნიტს“ ბაზარზე პოზიციის მოპოვებაში.

მ. კვირიკაშვილი

ლოგისტიკა - 2019 წელს კომპანიას ჰქონდა ორი ცენტრალური საწყობი საქართველოს მასშტაბით. თბილისში, რომელიც ემსახურებოდა აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისში - დასავლეთ საქართველოსთვის. იმის მიუხედავად, რომ პროდუქციის 90%-ის ტრანსპორტირებას მაღაზიებში თავად დისტრიბუტორები ახორციელებენ.

თავიდანვე კომპანიის სტრატეგია იყო რეგიონებში ქსელის განვითარება და აღნიშნული სტრატეგია გაგრძელდა 2019 წელსაც. თბილისის ფარგლებს გარეთ სუპერმარკეტების ქსელის განვითარება ძირითადად განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ რეგიონებში მოსახლეობის მხრიდან წამოვიდა მოთხოვნა პროდუქციის შეძენაზე ორგანიზებულ საცალო ვაჭრობის ქსელში, ჰიგიენის ნორმების დაცვითა და ხელმისაწვდომ ფასად.

„მაგნიტი“ არის ბრენდი, რომელიც ქალაქის თანამედროვე ცხოვრების რიტმს უზიარებს რეგიონს, ქმნის გადაკვეთის ცენტრებს!

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თბილისთან შედარებით უმუშევრობის დონე რეგიონებში გაცილებით მაღალია, თუ არ გავითვალისწინებთ თვითდასაქმებულ პირთა რაოდენობას. ამ რეგიონებში სუპერმარკეტების გახსნით, შპს „რითეილ ჯგუფმა“ შექმნა სამუშაო ადგილები და მოსახლეობას დასაქმების საშუალება მისცა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, „მაგნიტი“ თბილისში 2019 წელს შესამჩნევად გაფართოვდა. ცხრილის სახით წარმოგიდგენთ 2018 და 2019 წლებში რეგიონებში სუპერმარკეტების რაოდენობას.

რეგიონი	2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით		2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით	
	სუპერმარკეტების რაოდენობა	წილი	სუპერმარკეტების რაოდენობა	წილი
მცხეთა-მთიანეთი	14	12.0%	18	8.7%
შიდა ქართლი	20	17.1%	27	13.0%
ქვემო ქართლი	13	11.1%	23	11.1%
თბილისი	7	6.0%	32	15.5%
იმერეთი	28	23.9%	35	16.9%
სამცხე-ჯავახეთი	2	1.7%	2	1.0%
სამეგრელო	20	17.1%	25	12.1%
კახეთი	12	10.3%	21	10.1%
გურია	1	0.9%	6	2.9%
აჭარა	-	0.0%	18	8.7%
სულ	117	100.0%	207	100.0%

„მაგნიტი“, როგორც ძლიერი ფილიალი რეგიონში, ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას დასაქმების, პროფესიული განვითარებისა და განათლების თვალსაზრისით ახალი შესაძლებლობების შექმნის გზით. კომპანიამ დანერგა თანამედროვე ცხოვრების წესი და სიახლეები, ისეთი პროდუქტები, რომლებიც ადრე მათთვის უბრალოდ ხელმისაწვდომი არ იყო; ქმნის ახალ ინფრასტრუქტურას საინტერესო სავაჭრო გამოცდილებისთვის.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

2020 წელს და შემდგომ პერიოდში, კომპანია თავისი საერთო სტრატეგიის ერთგული დარჩება, რაც გულისხმობს რეგიონში ლიდერობას და თბილისში ძლიერი და კონკურენტული ქსელის განვითარებას.

Handwritten signature

2020 წლის მდგომარეობით, კომპანიამ კიდევ 15 სუპერმარკეტი გახსნა, ხოლო 2020 წლის ივლისში კომპანიის სუპერმარკეტების რაოდენობამ 222-ს მიაღწია.

ახალი სუპერმარკეტების გახსნის გარდა, 2020 წელს და შემდგომ პერიოდში, კომპანია ორიენტირებული იქნება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე, მომხმარებლისთვის პროდუქციის უფრო ფართო ასორტიმენტის შეთავაზების, ასევე სუპერმარკეტში პროცესების სტანდარტიზაციისა და მერჩენდაიზინგის გზით.

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ზოგადი გზა თანამშრომელთა მუდმივი გადამზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ უნარ-ჩვევების განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა, რასაც კომპანია განახორციელებს საკუთარი ხარჯებით.

მომსახურებისთვის ოპტიმალური ასორტიმენტის შეთავაზება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა კომპანიისთვის. მიუხედავად იმისა, რომ შპს „რითეილ ჯგუფი“ ცდილობს მაქსიმალურად დაბალი ფასის შეთავაზებას, მისი სტრატეგიის ნაწილი არ არის ბრენდების შემოტანა შეზღუდული მრავალფეროვნებით და მომხმარებლების არჩევანის შეზღუდვა.

გარდა ამისა, 2020 წელს და შემდგომ პერიოდში, კომპანია აპირებს ბაზარს შესთავაზოს სხვადასხვა სიახლეები და მარკეტინგული საქმიანობა.

3. კომპანიის სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის მიმოხილვა;

2019 წელს კომპანია არ ეწეოდა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანია სუპერმარკეტების ქსელით ოპერირებს მთელი საქართველოს მასშტაბით, ცხრა რეგიონსა და თბილისში.

კომპანიას აქვს ერთნაირი კონცეფცია ყველა სუპერმარკეტში ყველა ადგილზე ასორტიმენტის შენარჩუნებით, საერთო ფასების პოლიტიკისა და მომხმარებლებისთვის შეთავაზებული ერთდროული აქციების უზრუნველყოფით.

სააღრიცხვო წლის განმავლობაში სუპერმარკეტების საშუალო ფართობია 200 მ².

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ზოგადი ფინანსური მაჩვენებლები:

	2018	2019	ზრდა/(კლება)
შემოსავალი დღგ – ს გარეშე	69,372	194,526	180%
საერთო მოგება	10,707	32,828	207%
საერთო მოგების მარჟა	15.43%	16.88%	
სხვა შემოსავალი	351	1,128	221%
კომერციული ხარჯები	(11,088)	(34,637)	216%
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,953)	(6,256)	102%

1) შემოსავალი დღგ-ს გარეშე - კომპანიის შემოსავლის 100% მოიცავს პროდუქციის გაყიდვას საბოლოო მომხმარებელზე პირდაპირ სუპერმარკეტებიდან. 2019 წელს ამ მაჩვენებელმა 194.5 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 2018 წელს - 69.4 მლნ.

2) საერთო მოგება - საერთო მოგებასთან მიმართებაშიც დაახლოებით იგივე ზრდის ტემპი აღინიშნა, რაც შემოსავლების შემთხვევაში. საერთო მოგება სამჯერ მეტი იყო 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით და მან 32.8 მლნ ლარი შეადგინა.

შპს რითეილ ჯგუფი

- 3) საერთო მოგების მარჟა - 2019 წელს საერთო მოგების მარჟა მცირედით გაიზარდა 2018 წელთან შედარებით და მან 16,88% შეადგინა.
- 4) სხვა შემოსავალი - სხვა შემოსავლის 80% წარმოადგენს ოპერაციულ შემოსავალს იჯარიდან, მარკეტინგული მომსახურებიდან და მომწოდებლებთან განხორციელებული სხვა საქმიანობიდან.
- 5) კომერციული ხარჯები - გაყიდული საქონლის ღირებულების გარდა, ყველაზე დიდი ხარჯია კომერციული ხარჯები, რაც არის მთლიანი ხარჯების 17% და 2019 წელს შეადგენს 34.6 მილიონი ლარს. აქედან:

ა) ყველაზე დიდი ნაწილი სუპერმარკეტის თანამშრომელთა ხარჯებზე მოდის - 14.3 მილიონი ლარი

ბ) სუპერმარკეტების საოპერაციო იჯარა - 7.6 მილიონი ლარი.

- 6) საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები - ეს პუნქტი დაახლოებით ორჯერ გაიზარდა 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით. აღნიშნულში შედის: ადმინისტრაციული ხელფასის, სათაო ოფისის იჯარის, კომუნალური მომსახურების, დაზღვევის, მივლინებების და ა.შ. ხარჯები.

	2018	2019	ზრდა/(კლება)
გრძელვადიანი აქტივები	15,240	27,152	78%
მარაგები	12,923	28,879	100%
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,031	8,252	37%

- 1) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის გრძელვადიანმა აქტივებმა შეადგინა 27.1 მილიონი ლარი, ხოლო 2018 წელს - 15.2 მილიონი ლარი. აღნიშნული კაპიტალდაბანდებები სრულად განხორციელდა 2018 და 2019 წლებში და ემსახურებოდა საქართველოს მასშტაბით ახალი სუპერმარკეტების გახსნას.
- 2) კომპანიის მარაგის ნაშთი 25,88 მლნ ლარია. აღნიშნული პროდუქცია განთავსებულია 207 სუპერმარკეტსა და კომპანიის ორ საწყობში. სუპერმარკეტში მარაგი 125,000 ლარს შეადგენდა.
- 3) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - ამ პუნქტიდან 5.9 მლნ ლარი არის მოთხოვნები მომწოდებლების მიმართ (რეტრო-ბონუსები). აღსანიშნავია, რომ კომპანიას აქვს ვალდებულებები იგივე მომწოდებლების წინაშე და პერიოდის ბოლოს შეადგენს 42.9 მილიონ ლარს.
- 4) 2019 წელს კომპანიამ გამოიყენა სს „თიბისი ბანკის“ საკრედიტო ხაზი 5 მილიონი ლარის ოდენობით. აღნიშნული კრედიტი მოკლევადიანია, თუმცა მისი შინაარსის თვალსაზრისით, იგი არის გრძელვადიანი კრედიტი, რადგან ვადის გასვლისთანავე შეიცვლება ანალოგური პირობებით. კომპანიას ასევე აქვს 10 მლნ ლარის ოდენობის გრძელვადიანი კრედიტი „თიბისი ბანკში“.

ზოგადი არაფინანსური მაჩვენებელი

- 1) 2019 წლის ბოლოს კომპანიას ჰყავდა 3,500 თანამშრომელი, ხოლო 2018 წლის ბოლოს - 1700 თანამშრომელი.
- 2) 2019 წელს კომპანია თვეში საშუალოდ 158 ახალ თანამშრომელს იყვანდა.
- 3) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა პროპორციული განაწილება შემდეგნაირი იყო: 70% - ქალი, ხოლო 30% - კაცი.
- 4) რეგიონების მიხედვით თანამშრომელთა პროპორციული განაწილება დაახლოებით ერთნაირია, თუმცა კონკრეტულ სუპერმარკეტებში პროპორცია განსხვავდება.
- 5) შპს „რითეილ ჯგუფის“ სტრატეგია არ არის კაპიტალდაბანდებების განხორციელება (უძრავ ქონებაში), არამედ სუპერმარკეტების ქსელის განვითარებაზე ორიენტირებაა. ამიტომ, 207 სუპერმარკეტიდან კომპანიის საკუთრებაში მხოლოდ ორია - დანარჩენი იჯარითაა აღებული.

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

აღნიშნული ინფორმაცია არა რელევანტურია კომპანიისთვის.

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები

კომპანიის ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია, რაც გამოიხატება შემდეგში:

მკვირკაშვილი მ.

- 1) კომპანიის ვალდებულებების 100% დენომინირებულია ეროვნულ ვალუტაში;
 - 2) კომპანია იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც შევიდა რეგიონებში, სადაც არ იყო ორგანიზებული საცალო ვაჭრობა. შესაბამისად, კომპანიას ჰყავს ერთგული მომხმარებლები, რამდენადაც ეს შესაძლებელია აღნიშნულ სექტორში;
 - 3) ბრენდის შესახებ ინფორმირებულობა საკმაოდ მაღალია იმ რეგიონებში, სადაც სუპერმარკეტი „მაგნიტი“ ოპერირებს;
 - 4) შპს „რითეილ ჯგუფი“ არ არის დამოკიდებული მოვალეობზე და გადასახადებზე ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე. თავად კომპანიას აქვს ვალდებულებები თავისი მოვალეობის აბსოლუტური უმრავლესობის წინაშე. აღნიშნული ვალდებულებები ყოველთვის აღემატება მოთხოვნებს.
8. საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი სახსრების მოძრაობის რისკების და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა
- 1) კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკი, რადგანაც მისი შემოსავლის 99% მრდის საბოლოო მომხმარებელზე დაუყოვნებლივი გადახდის პირობით.
 - 2) ლიკვიდურობის რისკი შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ვალდებულებები მნიშვნელოვნად აღემატება აქტივებს. აღნიშნული არ შეიმჩნევა ფინანსურ მაჩვენებლებში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგანაც მთლიანი მიმდინარე აქტივები არის მთლიანი მიმდინარე ვალდებულებების 82%, „თიბისი ბანკის“ საკრედიტო ხაზის გამოკლებით, რომელიც გაცემულია ერთი წლის ვადით, ყოველწლიური განახლების აუცილებელი პირობით. აღნიშნული ვალდებულება მისი შინაარსიდან გამომდინარე არის გრძელვადიანი, თუმცა ხელშეკრულება გაფორმებულია 1 წლით და ვადის გასვლის შემდეგ გახანგრძლივდება / შეიცვლება.
 - 3) საბაზრო რისკისთვის შეიძლება განვიხილოთ გაცვლითი კურსის ცვალებადობა და ლარის დეფლაცია უცხოური ვალუტის მიმართ. იმის გამო, რომ კომპანიის ვალდებულებების 100% ლარშია დენომინირებული, შესყიდვა და შემოსავალი ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, ამის გამო აღნიშნული რისკები არის მინიმუმამდე დაყვანილი. რა თქმა უნდა, უცხოური ვალუტის მიმართ ეროვნული ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში, იმპორტირებული პროდუქციის ფასი გაიზრდება და ასეთ შემთხვევაში, შპს „რითეილ ჯგუფს“ მოუწევს აღნიშნული ზრდა ასახოს გაყიდვების ფასებზე. სხვა კონკურენტებიც იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, რაც კონკურენტულ უპირატესობას არავის მისცემენ.
 - 4) ფულადი სახსრების მოძრაობის რისკი - ამგვარი რისკი, ძირითადად, წარმოიშობა იმ შემთხვევებში, როდესაც კომპანია მიმართავს მოკლევადიან ფულად რესურსებს, რომელიც განკუთვნილია საბრუნავი კაპიტალისთვის, გრძელვადიანი აქტივების შესაძენად, ამიტომ არსებობს რისკი, რომ კომპანიას არ ექნება საკმარისი თანხა მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარად. კომპანიის მენეჯმენტი განაგებს პროცესებს და იღებს გადაწყვეტილებებს ფულადი სახსრების მოძრაობის რისკების თავიდან ასაცილებლად.
9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, კომპანიის მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით

სექტორი, რომელშიც ჩართულია „რითეილ ჯგუფი“, ხასიათდება რამდენიმე კონკრეტული რისკით.

მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია კონკურენციის რისკი. იმის გამო, რომ:

- a) საცალო ვაჭრობის სექტორს არ ახასიათებს მაღალი ბარიერები, რომლებიც შექმნილია ახალი მოთამაშეებისთვის ბაზარზე შესასვლელად. ფაქტობრივად, სექტორში შესვლა ყველას შეუძლია, ვისაც აქვს შესაბამისი ფინანსური რესურსი და ნახავს შესაბამის პერსონალს;
- b) საცალო ვაჭრობის სექტორის მომხმარებლებს არ ახასიათებთ ერთგულება. ისინი მოქნილები არიან სხვადასხვა ფაქტორების მიმართ და სხვა სექტორების მომხმარებლებისაგან განსხვავებით კონკურენტებს ადვილად შეუძლიათ მათი გადაბირება;

Handwritten signature and initials

- ე) 2019 წლის მონაცემებით, ბაზარზე კონკურენცია ძალიან მაღალია. კონკურენტები მაქსიმალურად ცდილობენ, მოიპოვონ ბაზრის წილი და გახსნან რაც შეიძლება მეტი სუპერმარკეტი.

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რისკად შეიძლება ჩაითვალოს კონკურენტების აქტიური კამპანიები და შპს „რითელ ჯგუფის“ მიერ ბაზრის წილის დაკარგვა. თუმცა, კომპანია მუდმივად ცდილობს შეისწავლოს და დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება მომხმარებლების ახალ საჭიროებებზე, შესთავაზოს მათ სიახლეები, გააუმჯობესოს და ოპტიმალური გახადოს ასორტიმენტი, დახვეწოს მომსახურების ხარისხი. ზემოაღნიშნული საქმიანობის შედეგად, კომპანია მოახერხებს დროულად მოახდინოს რეაგირება კონკურენტების აქტიურ კამპანიებზე.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც უნდა აღინიშნოს ამ თემაზე საუბრისას, არის ის, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს საცალო ვაჭრობის სექტორის მხოლოდ 30% ითვლება, რომ ეწევა ორგანიზებულ საცალო ვაჭრობას. ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ არსებულ სუპერმარკეტების ქსელებს შეუძლიათ კიდევ უფრო განვითარება და ბაზრის წილის გაზრდა არაორგანიზებული საცალო ვაჭრობის ხარჯზე.

საცალო ვაჭრობისთვის, ისევე როგორც ყველა სხვა სექტორისთვის, ეკონომიკური და პოლიტიკური რისკები საკმაოდ მნიშვნელოვანია. ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით არასტაბილურ გარემოში, ვერცერთი ბიზნესი ვერ შეძლებს განვითარებას და ვერ ექნებათ ფინანსურად მდგრადი მდგომარეობა, ეს ეხება საცალო ვაჭრობის სფეროში მოქმედ კომპანიებსაც. შესაბამისად, ეს ნაწილი ძალზე მნიშვნელოვანია და საყურადღებოა აღნიშნული რისკების ანალიზის დროს. კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად აკვირდება ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს და საჭიროების შემთხვევაში, მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს შემდგომი რისკების თავიდან ასაცილებლად.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია ზოგადად ვაჭრობს იმ საქონლით, რომელზეც არასტაბილური გარემო, სხვა სექტორებთან შედარებით, ყველაზე ნაკლებად უარყოფითად მოქმედებს.

მატერიალური ფასეულობების დაზიანების, დაკარგვის, ქურდობისა და გაფუჭების რისკი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რისკია ამ სექტორისთვის, რადგანაც ობიექტები ფართოდ არის გავრცელებული მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც ართულებს მატერიალური ფასეულობების მოვლის პროცესს და მნიშვნელოვნად ზრდის ხარჯებს.

ამ რისკის უზრუნველსაყოფად, კომპანიამ შექმნა ძლიერი და მობილური მონიტორინგის განყოფილება, რომელიც მაქსიმალურად მონაწილეობს მატერიალური ფასეულობების პერიოდულ დათვლისა და კონტროლის პროცესში.

როგორც საანგარიშო წლის შედეგებიდან ირკვევა, კომპანიას 2018 და 2019 წლებში ჰქონდა მაღალი ზრდის ტემპი. ცნობილია, რომ სწრაფ ზრდას თან ახლავს ისეთი პრობლემები, როგორიცაა მენეჯმენტის ყურადღების შესუსტება მიმდინარე საოპერაციო საკითხების მიმართ, ლოგისტიკური პრობლემები, ხარჯების არაეფექტური განაწილება და ა.შ. მენეჯმენტი ვალდებულია, სათანადო ყურადღება მიაქციოს აღნიშნულ საკითხს.

COVID 19-ის გავლენა: 2019 წლის ბოლოს პირველად გაჟღერდა ინფორმაცია ჩინეთიდან COVID-19 (კორონავირუსის) გავრცელების შესახებ. წლის ბოლოსთვის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისთვის ცნობილი იყო უცნობი ვირუსის გავრცელების შემთხვევათა შეზღუდული რაოდენობა. 2020 წლის პირველ თვეებში, ვირუსი გავრცელდა გლობალურად და მისი უარყოფითი გავლენა გაიზარდა. მომხმარებლების მხრიდან იყო გარკვეული სახის მოლოდინი, რომ მთავრობა გამოაცხადებდა გრძელვადიან კომენდანტის საათს / კარანტინს და მათ დაიწყეს პროდუქციის დიდი რაოდენობით

პეტრისი

შეძენა და მომარაგება. აღნიშნულმა გამოიწვია პირველ თვეებში შემოსავლების მაჩვენებლების ზრდა. მოგვიანებით, შესყიდვები დასტაბილურდა, მაგრამ მომხმარებლებმა რატომღაც შეცვალეს შესყიდვის ქცევა და გადავიდნენ უფრო იაფი საქონელის შეძენაზე.

ხელმძღვანელობამ ყველა საჭირო ნაბიჯი გადადგა, პირველ რიგში, თანამშრომლებისა და მომხმარებელთა ჯანმრთელობის დასაცავად და ჩვენს მარკეტებში ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად - პერსონალი აღჭურვილი იყო დამცავი ნიღბებითა და ხელთათმანებით. მარკეტები აღიჭურვა სადეზინფექციო საშუალებებით.

პირველ თვეში კომპანიამ მოახერხა თავიდან აეცილებინა მარკეტებში სასურსათო პროდუქციის დეფიციტი, მაშინ როცა აღნიშნული პრობლემა თბილისსა და რეგიონებში ბევრ მარკეტს შეეხო. რის შედეგადაც, შემოსავალი არ შემცირდა და მომხმარებლები კმაყოფილნი დარჩნენ.

მოგვიანებით, "მაგნიტმა" მომხმარებლებს შეთავაზა სპეციალური აქციები გარკვეულ კატეგორიებზე და განსაკუთრებით იმ საქონელზე, რომელზეც დიდი მოთხოვნა იყო.

პანდემიის მიუხედავად, 2020 წელს თითო მაღაზიის შემოსავალი 2019 წელთან შედარებით იზრდება და მომხმარებლები კმაყოფილნი არიან ჩვენი სპეციალური შეთავაზებებით.

თარიღი

ლაშა ჩოჩელი

დირექტორი

გიორგი ტაბახმელაშვილი

ფინანსური დირექტორი

Mob: (+995) 514 111-115
დ/დიღომი ი პეტრიტის ქ 14
I.PETRITSI St. D/DIGOMI TBILISI
E-mail: m_kvirkashvili@cu.edu.ge

მ. კვირიკაშვილი

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N200772389



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

29.09.2020 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული
მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

თამარ ბაქრადე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ.თბილისი დ/დილომი ი.პეტრიწის ქ. N 16

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

591 701 115; 322 43 28 70;

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

65898456031620



მე, ნოტარიუსი თამარ ბაქრადე, ჩემს სანოტარო ბიუროს დროებით მისამართზე: ქ.თბილისი, დ. უზნაძის ქ. # 2, ვადასტურებ ინგლისური ენის მთარგმნელის მარიამ ფრეის (პირადი № 01022014463, სერტიფიკატი IELTS) ხელმოწერის ნამდვილობას. მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმნის სიზუსტეზე და იგი იძლევა თარგმნის სისწორის გარანტიას.
გადახდილია საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ №507 დადგენილების 31-ე მუხლისა - 64.00 ლარი და 39-ე მუხლისა - 2 (ორი) ლარი, აგრეთვე დღგ 11.52 ლარი, თანახმად "საქართველოს საგადასახადო კოდექსის" 169-ე მუხლისა. ერთ ეგზემპლარზე დაუმოწმა ოცდათორმეტი ხელმოწერის ნამდვილობა.

I, the notary Tamar Bakradze, at my notary office located at the address: D. Uznadze Str., # 2, city of Tbilisi, certify authenticity of signature of the English language translator Mariam Frei (personal # 01022014463; certificate # IELTS). Translator is informed that he accounts for fidelity of the translation and he guarantees fidelity of the translation.

Paid fee according to the article 31 of the Decree # 507 of the Government of Georgia as of 29.12.2011 "On approval of the fee for execution of the notarial actions and amount of fee established for Notary Chamber of Georgia, order of its payment and terms of service" - 64,00 GEL and article 39 - 2 (two) GEL; also VAT 11.52 tetri according to the article 169 of the Georgian tax code.

ნოტარიუსი თამარ ბაქრადე
Notary Tamar Bakradze



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეგისტრირებული ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



Handwritten text in the top right margin, possibly a date or reference number.



Handwritten signature in blue ink, located below the official seal.



Handwritten text in Armenian script, appearing as a paragraph of text in the middle section of the document.

Handwritten text in Armenian script, appearing as a second paragraph of text in the middle section of the document.



Handwritten text in Armenian script, appearing as a third paragraph of text at the bottom of the document.

შპს რითეილ ჯგუფი
მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს/ IFRS for SME)
ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2019 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ბიზნეს - გარემო.....	5
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
4. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები.....	9
5. ძირითადი საშუალებები	11
6. გუდვილი.....	12
7. მარაგები	12
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	13
10. საწესდებო კაპიტალი.....	13
11. მიღებული სესხები	13
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
13. შემოსავლების ანალიზი კატეგორიის მიხედვით.....	14
14. კომერციული ხარჯები.....	14
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	14
16. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები.....	15
17. პირობითი ვალდებულებები	15
18. საწარმოთა გაერთიანება.....	16
19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	17
20. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები	17

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „რითეილ ჯგუფის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძვლები“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „რითეილ ჯგუფის“ (შემდეგში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა და "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტი ჩატარდა:

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც შედის:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2019 წლის 3 დეკემბერს და, შესაბამისად, ვერ დავესწარიტ ინვენტარიზაციის პროცედურას და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი მტკიცებულება, ალტერნატიული საშუალებებით, მარაგების რაოდენობასთან მიმართებაში. იქიდან გამომდინარე, რომ საწყისი მარაგების ნაშთი გავლენას ახდენს ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე, ჩვენ ვერ განვასაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა შესწორებების განხორციელება მოგებაზე, რომელიც ნაჩვენებია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში და საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულად სახსრებზე, რომელიც წარმოდგენილია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს პირობითი დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური მოვალეობები IESBA კოდექსის სტანდარტების შესაბამისად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს. ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ მმართველობით ანგარიშს და განვიხილოთ, მმართველობითი ანგარიში არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნათ, რომ მმართველობით ანგარიშში არსებითი ცდომილებაა, ჩვენი ვალდებულებაა მივუთითოთ ეს ფაქტი. ამ მხრივ არაფერი გვაქვს აღსანიშნი.

გარდა ამისა, "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების თანახმად, ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება, თუ რამდენად შეესაბამება მმართველობითი ანგარიშის ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, შეიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიში "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობით ანგარიშში მოცემული ინფორმაცია იმ ფინანსური წლის შესახებ, რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობით ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე -7 მუხლის მე -6 პუნქტის მოთხოვნებს.

როგორც ზემოთ „პირობითი მოსაზრების საფუძვლები“ ნაწილში აღვნიშნეთ, ჩვენ ვერ დავესწარიტ ინვენტარიზაციის პროცედურას და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი მტკიცებულება, ალტერნატიული საშუალებებით, მარაგების რაოდენობასთან მიმართებაში. ჩვენ არ შეგვიძლია დავასკვნათ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად მცდარი ამ საკითხთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა და "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, თუ ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის

არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის პრინციპების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს მოქმედება როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორის დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (რეგ. # SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (რეგ.#SARAS-A-506913)

2020 წლის 16 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

შპს რითეილ ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

<u>ათასობით ლარში</u>	<u>შენიშვნა</u>	<u>31 დეკემბერი 2019</u>	<u>31 დეკემბერი 2018</u>
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	26,152	14,343
გუდვილი	6	381	508
სხვა არამატერიალური აქტივები		619	389
სულ გრძელვადიანი აქტივები		27,152	15,240
მიმდინარე აქტივები			
მოთხოვნები აქციონერთა მიმართ		-	2
მარაგები	7	25,879	12,923
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	8,252	6,031
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	3,213	2,879
სულ მიმდინარე აქტივები		37,344	21,835
სულ აქტივები		64,496	37,075
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	15,543	15,543
დაუფარავი ზარალი		(11,421)	(3,574)
სულ კაპიტალი		4,122	11,969
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	9,502	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9,502	-
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	5,434	5,014
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	45,438	20,092
სულ მიმდინარე ვალდებულებები		50,872	25,106
სულ ვალდებულებები		60,374	25,106
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		64,496	37,075

ხელმოწერილი და დამტკიცებულია გამოსაცემად დირექტორთა საბჭოს მიერ 2020 წლის 17 სექტემბერს.

ლაშა ჩოჩელი
დირექტორი

გიორგი ტაბახმელაშვილი
ფინანსური დირექტორი

შპს რითეილ ჯგუფი
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

<i>ათასობით ლარში</i>	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
შემოსავალი	13	194,526	69,372
გაყიდვების ღირებულება		(161,698)	(58,665)
საერთო მოგება		32,828	10,707
სხვა შემოსავალი		1,128	351
კომერციული ხარჯები	14	(34,637)	(11,088)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(6,256)	(2,953)
სხვა მოგება / (ზარალი), წმინდა		(99)	-
საოპერაციო ზარალი		(7,036)	(2,983)
ფინანსური შემოსავალი	16	66	32
ფინანსური ხარჯი	16	(877)	(403)
ზარალი დაბეგვრამდე		(7,847)	(3,354)
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		-	-
ზარალი წლის განმავლობაში		(7,847)	(3,354)
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		-	-
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში		(7,847)	(3,354)

შპს რითეილ ჯგუფი
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

<u>ათასობით ლარში</u>	<u>საწესდებო კაპიტალი</u>	<u>დაუფარავი ზარალი</u>	<u>სულ კაპიტალი</u>
2018 წლის 1 იანვრისთვის	4,090	(220)	3,870
ზარალი წლის განმავლობაში	-	(3,354)	(3,354)
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში -	-	(3,354)	(3,354)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	11,453	-	11,453
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	15,543	(3,574)	11,969
ზარალი წლის განმავლობაში	-	(7,847)	(7,847)
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში -	-	(7,847)	(7,847)
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	15,543	(11,421)	4,122

შპს რითეილ ჯგუფი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

<u>ათასობით ლარში</u>	<u>შენიშვნა</u>	<u>2019</u>	<u>2018</u>
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(7,847)	(3,354)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	3,888	1,282
დაზიანებული(ვადაგასული) საქონლის ჩამოწერა		4,273	487
მოგება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		24	-
ფინანსური ხარჯი	16	875	30
ფინანსური შემოსავალი	16	(66)	(32)
სავალუტო კურსთაშორისი სხვაობა		(30)	358
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე:		1,117	(1,229)
ცვლილებებისაბრუნავ კაპიტალში:			
მარაგები		(17,229)	(13,410)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(2,041)	(4,692)
სავაჭრო და სხვა ვადებულებები		25,078	19,951
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		66	32
გადახდილი პროცენტი		(863)	(16)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		6,128	636
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(15,402)	(15,674)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(310)	(504)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გასული წმინდა ფულადი სახსრები		(15,712)	(16,178)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
აღებული სესხები		63,117	5,000
დაფარული სესხები		(53,207)	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	10	-	12,637
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		9 910	17,637
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		8	16
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში		2,879	768
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	9	3,213	2,879

შპს რითეილ ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები-2019 წლის 31 დეკემბერი

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა შპს რითეილ ჯგუფის ("კომპანია") 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა (მსს ფასს/ IFRS for SME) და "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

კომპანია დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ("შპს") 2017 წლის 7 ნოემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, საიდენტიფიკაციო ნომრით: 436041659. კომპანია დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე.

2018 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის წილის მფლობელები არიან:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
შპს რითეილ ინვესტმენტს	60.00%	60.00%
შპს დოლნეი ქენსალტენტს	26.67%	26.67%
ზურაბი ხიზანიშვილი	13.33%	13.33%

2018 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანიას არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მთელ საქართველოში „მაგნიტის“ ბრენდის ქვეშ საცალო მაღაზიებით ვაჭრობა. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა 207 მაღაზია (2018 წლის 31 დეკემბერი: 117 მაღაზია). კომპანიის მიერ შემოთავაზებული საქონელი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, საკვებ პროდუქტებს (მალფუჭებადი, არამალფუჭებადი), ჰიგიენურ საშუალებებს, სასმელებსა და სხვა.

იურიდიული მისამართი. კომპანიის იურიდიული მისამართია: მცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი. სათავო ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი # 18.

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში ("ლარი"), თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

2. ბიზნეს-გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობებს ახორციელებს საქართველოში. განვითარებადი ეკონომიკები, საქართველოს მსგავსად, ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს და მგრძნობიარეა გლობალური ბაზრის პირობებისა და ეკონომიკური რეცესიების მიმართ. შედეგად, საქართველოში საქმიანობას შეიძლება ჰქონდეს გარკვეული რისკები, რომლებიც ჩვეულებრივ არ უკავშირდება განვითარებულ ბაზრებზე არსებულ რისკებს. ამის მიუხედავად, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ განახორციელა არაერთი სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სავაჭრო რეფორმა, რამაც დადებითად იმოქმედა ქვეყნის მთლიან საინვესტიციო გარემოზე. დღეს, საქართველო საერთაშორისო მასშტაბით ცნობილია, როგორც ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყანა. ბოლო 3 წლის განმავლობაში მსოფლიო ბანკის (WB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ბიზნესის კეთების (Doing Business) რეიტინგში საქართველო 190 ქვეყანას შორის პირველ ათეულში შედის, იგი, ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ, მსოფლიო რეიტინგში მე-6 ადგილზეა (190-დან), რეიტინგში წინა წელთან შედარებით ქვეყნის პოზიცია 3 ადგილით გაუმჯობესდა. ქვეყანას თითქმის ყველა კატეგორიაში მაღალი პოზიცია უკავია, რითაც ადასტურებს რეგიონალური ლიდერის პოზიციას და უსწრებს ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებს. საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, საქართველო ასევე გამოირჩევა კორუფციის დაბალი დონით, დაბალი საგადასახადო განაკვეთებითა და ინსტიტუტების მაღალი გამჭვირვალობით.

საქსტატის მონაცემების მიხედვით, მშპ-ის ზრდამ 2019 წელს 5.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2018 წელს წლიურმა ზრდამ 4.8% შეადგინა. რეალური ზრდა ძირითადად განპირობებული იყო შემდეგი სექტორების ზრდით: წარმოება, მშენებლობა, საბითუმო და საცალო ვაჭრობა და უძრავი ქონება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პრინციპები თანმიმდევრულად გამოიყენება ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა (მსს ფასს/ IFRS for SME) და "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებისა და **ფაქტობრივი თვითღირებულების კონვენციის** შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-თან შესაბამისობაში, რაც მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მენეჯმენტისგან მოითხოვს მსჯელობებისა და დაშვებების გაკეთებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპების გამოყენების პროცესში. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში ("ლარი"), თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც საქმიანობას ეწევა კომპანია. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("ლარი").

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება, კონვერტირდება ლარში ოპერაციის თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით აღირიცხება, კონვერტირდება ლარში რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ქართულ ლარში ხდება ამ დღეს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ოპერაციის დღეს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრებისა და ვალდებულებების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგების „სხვა მოგება / (ზარალი), წმინდა“-ს პუნქტში; უცხოურ ვალუტაში მიღებული სესხების კონვერტაციით გამოწვეულ სხვაობა აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგების „ფინანსურ შემოსავლებსა და ხარჯებში“.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო: 1 აშშ დოლარი ("USD") = 2.8677 ლარი და 1 ევრო ("EUR") = 3.2095 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი და 1 ევრო = 3.0701 ლარი). ამჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, საბანკო ანგარიშებზე და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან უფრო ნაკლები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად ფასდება გარიგების ღირებულებით, შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას საწყისი პირობების შესაბამისად.

ურთიერთგაქვითვა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივებზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვა წინასწარი გადახდები

ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

მარაგები. მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და სუფთა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ყოველი საანგარიშო თარიღისთვის მარაგები ფასდება გაუფასურების მიხედვით. გაუფასურების შემთხვევაში, საბალანსო ღირებულება მცირდება გასაყიდ ფასამდე, რასაც აკლდება ხარჯები. გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხები. თვითღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს. ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა სხვა სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯების ასახვა ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწევისთანავე.

მიწაზე არ ხდება ცვეთის დარიცხვა. სხვა ძირითად საშუალებებზე დასარიცხი ცვეთა გაიანგარიშება წრფივი მეთოდით, რათა ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განაწილდეს მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი მოსალოდნელი ექსპლუატაციის პერიოდის განმავლობაში:

• შენობა-ნაგებობები	10-25 წელი
• ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა	3-5 წელი
• სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
• მანქანა -დანადგარები	5-10 წელი
• იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	3-10 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულების, ექსპლუატაციის პერიოდისა და ცვეთის მეთოდების გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგების „მოგება-ზარალში“.

გუდვილი. გუდვილი არის საწარმოთა გაერთიანების ღირებულების ნამეტი თანხა, მყიდველი საწარმოს წილზე იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გუდვილის ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით საექსპლუატაციო ვადაზე. გუდვილის საექსპლუატაციო ვადა განისაზღვრება ხუთი წლით, მენეჯმენტის საუკეთესო შეფასების საფუძველზე. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს, არსებობს თუ არა გუდვილის გაუფასურების რაიმე ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება. გუდვილზე გაუფასურების ზარალის ანაზღაურება არ ხდება.

გაუფასურების ანალიზის მიზნებისთვის, გუდვილი მიკუთვნებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე (CGU) (ან CGU-ების ჯგუფები). გუდვილი განაწილდება მყიდველი საწარმოს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ყველა ერთეულზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სარგებელს მიიღებენ საწარმოთა გაერთიანებით განპირობებული სინერგიიდან, მიუხედავად იმისა, შეძენილი საწარმოს სხვა აქტივები და ვალდებულებები მიკუთვნებულია თუ არა ამ ერთეულებზე.

სხვა არამატერიალური აქტივები. ცალკე შეძენილი ლიცენზიები (პროგრამული უზრუნველყოფის ჩათვლით) აღირიცხულია თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი ლიცენზიების აღრიცხვა ხდება შეძენის დღეს არსებული რეალური ღირებულებით, თუ შეუძლებელია რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე. ლიცენზიებს აქვს საექსპლუატაციო ვადა და აღირიცხება თვითღირებულების მიხედვით, აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით საექსპლუატაციო ვადაზე.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება კონკრეტული პროგრამის შეძენისა და ექსპლუატაციაში გაშვებისთვის გაწეული ხარჯების მიხედვით. ამ ხარჯების ამორტიზაცია ხდება

მოსალოდნელი საექსპუატაციო პერიოდის განმავლობაში. პროგრამის ექსპლუატაციის სავარაუდო ვადა ხუთი-შვიდი წელია.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ცვეთას/ამორტიზაციას დაქვემდებარებული აქტივები მოწმდება გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად ყოველი საანგარიშო თარიღისთვის. აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნების არსებობის დადგენის შემთხვევაში მოხდება აქტივის საბალანსო ღირებულების (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული, რომელზეც მიკუთვნებულია აქტივი) შემოწმება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი არის თანხა, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების ანალიზის მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს ცალკეული ფულადი სახსრების ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული). არაფინანსური აქტივები, გუდვილის გარდა, რომლებმაც განიცადეს გაუფასურება, გადაიხედება გაუფასურების მაჩვენებლის შესაძლო შეცვლის მიზნით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

მიღებული სესხები. სესხები თავდაპირველად ფასდება გარიგების ღირებულებით (ანუ ბანკში გადასახდელი ფულადი სახსრების ამჟამინდელი ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). შემდგომში სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. პროცენტის ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და შედის ფინანსურ ხარჯებში.

სესხები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფს აქვს უპირობო უფლება გადადოს ვალდებულების დაფარვა საანგარიშგებო თარიღიდან არანაკლებ 12 თვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება გარიგების ღირებულებით და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ანარიცხები. ანარიცხი უნდა აღიარდეს მაშინ, როდესაც: კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად; სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხების შეფასება ხდება დაბეგვრამდე არსებულ განაკვეთით, რომელშიც გათვალისწინებულია ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებისა და მოცემული ვალდებულებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკები. ანარიცხების თანხის ზრდა დროის გასვლის გამო აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

პერსონალის ხარჯი. ხელფასები, სარგო, წლიური შევებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს იურიდიული და კონსტრუქციული ვალდებულება პენსიის ან მსგავსი დახმარების გაცემაზე.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწყისი საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილებები შედის მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

შემოსავლების აღიარება. შემოსავალი ფასდება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პერიოდში საქონლის რეალიზაციისგან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი მითითებულია გაყიდვების გადასახადის/დამატებითი ღირებულების გადასახადის, დაბრუნებული თანხის, ფასჩამოკლებებისა და ფასდაკლებების გარეშე.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც: შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება; სავარაუდოა მომავალი ეკონომიკური სარგებელის მიღება; და დაკმაყოფილდება კონკრეტული კრიტერიუმები კომპანიის თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებით, როგორც აღწერილია ქვემოთ.

საქონლის რეალიზაცია - სავაჭრო ვაჭრობა. კომპანია ეწევა სავაჭრო მაღაზიებით ვაჭრობას მთელი საქართველოს მასშტაბით. საქონლის გაყიდვა აღირიცხება, როდესაც კომპანია მომხმარებელს მიჰყიდის პროდუქტს, რადგანაც კონტროლი გადადის მომხმარებელზე იმ დღეს, როდესაც გარიგება ხდება. სავაჭრო ვაჭრობა, როგორც წესი, ხორციელდება ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათით.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფასდათმობა. სავაჭრო ფასდათმობა, რომელიც მოიცავს საქონლის შესაძენად მომწოდებლების მიერ გაცემულ ფასდაკლებას, პირველ რიგში, აღირიცხება როგორც მარაგის ღირებულების შემცირება და გაყიდვისას აისახება გაყიდვის ფასში.

საშემოსავლო გადასახადი. საშემოსავლო გადასახადი მოცემულია აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის მოქმედი ან ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ შეიტანა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმად, კომპანიები (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ „გადასახადებში“, და არა მოგების გადასახადში.

იჯარა. როდესაც არ ხდება საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა, მაშინ ასეთი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო. საოპერაციო იჯარის დროს გადახდილი თანხები (გარდა მეიჯარის მიერ იჯარასთან დაკავშირებით განხორციელებული გადახდებისა) აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით საიჯარო პერიოდის ვადაზე.

დივიდენდის განაწილება. კომპანიის მფლობელისთვის დივიდენდის განაწილება აღირიცხება ვალდებულების სახით კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები დამტკიცდება კომპანიის მფლობელების მიერ.

ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ცვლილების განხორციელება შესაძლებელია კომპანიის მენეჯმენტის თანხმობით.

4. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებებისა და ვარაუდების მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპების გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იღებს გადაწყვეტილებებს. გადაწყვეტილება, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება, მოიცავს:

ფუნქციონირებადი საწარმო. მენეჯმენტმა წინამდებარე ფინანსური ანგარიშები მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური

რესურსების ხელმისაწვდომობა და გააანალიზა მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებმა მიმდინარე აქტივებს გადააჭარბა 13, 528 ათასი ლარით (2018 წლის 31 დეკემბერი: 3 271 ათასი ლარი) და დაარსების დღიდან კომპანიას აქვს საოპერაციო ზარალი. კომპანიისთვის ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით, მენეჯმენტმა მიმართა სხვადასხვა ალტერნატიულ მეთოდს, მათ შორის: მოლაპარაკებების წარმოება მომწოდებლებთან გადასახდელი დღის გაგრძელებისა და მათი პროდუქციის სრულად გაყიდვის შემდეგ გადასახდელი ვალდებულებების დაფარვის მიზნით, აგრეთვე ფინანსური ინსტიტუტთან ხელშეკრულების გაფორმება საკრედიტო ხაზის შესახებ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა საქმიანობა ხელს შეუწყობს კომპანიას, რომ მომავალში არ ჰქონდეს ფულადი დეფიციტი. ლიკვიდურობის გაუმჯობესება მოსალოდნელია პროაქტიული ზრდის პერიოდის შემდეგ, როდესაც კომპანია დაასტაბილურებს თავის საქმიანობას, რაც გამოიწვევს მომგებიანობის გაზრდას და ლიკვიდურობის გაუმჯობესებას.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საექსპლუატაციო პერიოდი. ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო პერიოდს განსაზღვრავს მენეჯმენტი მსგავს აქტივებთან მუშაობის გამოცდილების საფუძველზე. აქტივის საექსპლუატაციო პერიოდის დადგენისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, როგორებიცაა: მოსალოდნელი წარმადობა, სავარაუდო ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც აქტივი გამოიყენება. აღნიშნულ პირობებში ან შეფასებებში ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის მაჩვენებლების კორექტირება. თუ რეალური საექსპლუატაციო პერიოდი 10% -ით განსხვავდებოდა მენეჯმენტის შეფასებისგან, 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ცვეთის გავლენა იქნებოდა 368 ათასი ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 114 ათასი ლარი).

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობები	მანქანა - დანადგარები	ავიჯი და კომპ. ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალება	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	სულ
<i>ათასობით ლარში</i>						
თვითღირებულება 2017 წლის						
31 დეკემბრისთვის	-	57	22	-	5	84
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება 2017 წლის						
31 დეკემბრისთვის	-	57	22	-	5	84
დამატებები	47	4,719	3,824	653	4,341	13,584
შემენა საწარმოთა						
გაერთიანების გზით	453	660	697	-	-	1,810
საამორტიზაციო ხარჯები	(37)	(395)	(467)	(23)	(213)	(1,135)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის						
31 დეკემბრისთვის	463	5,041	4,076	630	4,133	14,343
თვითღირებულება 2018 წლის						
31 დეკემბრისთვის	500	5,436	4,543	653	4,346	15,478
დაგროვილი ცვეთა	(37)	(395)	(467)	(23)	(213)	(1,135)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის						
31 დეკემბრისთვის	463	5,041	4,076	630	4,133	14,343
დამატებები	-	4,963	3,896	380	6,455	15,694
გასვლა	-	(150)	-	(12)	(42)	(204)
საამორტიზაციო ხარჯები	(49)	(1,184)	(1,367)	(127)	(954)	(3,681)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის						
31 დეკემბრისთვის	414	8,670	6,605	871	9,592	26,152
თვითღირებულება 2019 წლის						
31 დეკემბრისთვის	500	10	249 8,439	1,021	10,759	30,968
დაგროვილი ცვეთა	(86)	(1,579)	(1,834)	(150)	(1,167)	(4,816)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის						
31 დეკემბრისთვის	414	8,670	6,605	871	9,592	26,152

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 25 531 ლარად (2018: 13,713) შეფასებული ძირითადი საშუალებები, ზოგერთი სატრანსპორტო საშუალების გარდა, გადაეცათ მესამე პირებს სესხის უზრუნველყოფად. იხილეთ მე-17 შენიშვნა.

6. გუდვილი

<i>ათასობით ლარში</i>	<i>გუდვილი</i>
შეძენა საწარმოთა გაერთიანების გზით საამორტიზაციო ხარჯები	635 (127)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	508
თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის დაგროვილი ცვეთა	635 (127)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის საამორტიზაციო ხარჯები	508 (127)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის თვითღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის დაგროვილი ცვეთა	381 635 (254)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	381

7. მარაგები

<i>ათასობით ლარში</i>	<i>2019 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2018 წლის 31 დეკემბერი</i>
გასაყიდი საქონელი	24,270	12,333
შესაფუთი მასალები	1,302	535
სხვა	307	55
სულ	25,879	12,923

25,879 ათასი ლარის მარაგები (2018: 12,923 ათასი) დაგირავებულია სესხის უზრუნველსაყოფად სახით. იხილეთ მე-17 შენიშვნა. გაყიდვების ღირებულების პერიოდის განმავლობაში ხარჯად აღრიცხული მარაგების ღირებულებამ შეადგინა 161, 698 ათასი ლარი (2018 წელი: 58, 655 ათასი).

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

<i>ათასობით ლარში</i>	<i>2019 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2018 წლის 31 დეკემბერი</i>
სავაჭრო მოთხოვნები	224	49
მოთხოვნები მომწოდებლებისგან	5,902	2,825
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ფარგლებში	6,126	2,874
წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი		
გადასახადები, საშემოსავლო გადასახადის გარდა	964	1,860
წინასწარი გადახდები	694	1,170
სხვა მისაღები	468	127
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,252	6,031

მომწოდებლებისგან მისაღები თანხა მოიცავს ფასდაკლების წინასწარ განსაზღვრულ პროცენტს, რომელიც მომწოდებლებმა საქონლის შესაძენად გაიღეს.

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

<i>ათასობით ლარში</i>	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფული ბანკში	2,511	2,455
ნაღდი ფული	417	326
სატრანზიტო ანგარიშზე ნაღდი ფული	285	98
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	3,213	2,879

10. საწესდებო კაპიტალი

2017 წლის 20 ნოემბრის კომპანიის მფლობელთა დადგენილებისა და საბჭოს ოქმის საფუძველზე, საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1,500 ათასი აშშ დოლარით და შემდგომ მფლობელის 2018 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე გაიზარდა 4,500 ათასი აშშ დოლარით. მესაკუთრეთა მიერ 2017 და 2018 წლების განმავლობაში განხორციელებული ფულადი შენატანების მოცულობამ შეადგინა 15,543 ათასი ლარი (6,000 ათასი აშშ დოლარი). 2019 წელს კაპიტალის დამატებითი ზრდა არ დაფიქსირებულა.

11. მიღებული სესხები

<i>ათასობით ლარში</i>	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი	9,502	-
მიმდინარე	5,434	5,014
სულ სესხები	14,936	5,014

კომპანიის სესხები დენომინირებულია ლარში. საკრედიტო ხაზის ვადა სრულდება 2020 წლის აპრილს და საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10.5% (2018: 10%). 2019 წლის 27 მარტს მიღებული საბანკო სესხის ვადა იწურება 2024 წლის სექტემბერში და საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10%. საბანკო სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ქონებით, ძირითადი საშუალებებითა და მარაგებით (შენიშვნა 5, 7).

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

<i>ათასობით ლარში</i>	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	42,924	18,623
ვალდებულებები ძირითადი საშუალებების შეძენიდან	400	108
დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტორები	1,343	968
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ფარგლებში	44,667	19,699
დარიცხული პერსონალის ხარჯი	692	393
სხვა ვალდებულებები	79	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	45,438	20,092

13. შემოსავლების ანალიზი კატეგორიის მიხედვით

<i>ათასობით ლარში</i>	2019	2018
არასასურსათო	70,590	23,597
საკვები: მალფუჭებადი	69,066	21,718
საკვები: არამალფუჭებადი	54,60	23,269
სხვა	266	788
სულ შემოსავალი	194, 526	69,372

14. კომერციული ხარჯები

<i>ათასობით ლარში</i>	2019	2018
სახელფასო და მასთან დაკავშირებული გადასახადები	14,295	3,810
ძირითადი საშუალებების საოპერაციო საიჯარო ხარჯები	7,613	2,424
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	3,723	1,216
კომუნალური მომსახურების ხარჯები	3,687	1,491
სარეკლამო ხარჯები	1,185	250
სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	1,118	493
მომარაგების ხარჯი	874	391
საწვავის ხარჯი	805	311
საბანკო მომსახურების ხარჯი	602	150
უსაფრთხოების სამსახური	288	70
სატელეკომუნიკაციო ხარჯები	282	140
შენახვისა და მიწოდების ხარჯები	28	93
სხვა კომერციული ხარჯები	137	249
სულ კომერციული ხარჯები	34,637	11,088

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

<i>ათასობით ლარში</i>	2019	2018
სახელფასო და მასთან დაკავშირებული გადასახადები	3,806	2,147
პროფესიონალური მომსახურების ხარჯი	726	185
ძირითადი საშუალებების საოპერაციო საიჯარო ხარჯები	449	160
საშემოსავლო გადასახადის გარდა სხვა გადასახადები	203	74
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	165	66
მივლინების ხარჯები	154	46
სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	140	75
საკანცელარიო ხარჯები	73	37
სატელეკომუნიკაციო ხარჯები	50	25
კომუნალური მომსახურების ხარჯები	34	30
საბანკო მომსახურების ხარჯი	24	27
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	432	81
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6,256	2,953

16. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

<i>ათასობით ლარში</i>	2019	2018
ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების საპროცენტო შემოსავალი	66	32
ფინანსური შემოსავალი	66	32
ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	(875)	(30)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(2)	(373)
ფინანსური ხარჯები	(877)	(403)
სულ ფინანსური ხარჯები	(811)	(371)

17. პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება. ჩვეულებრივი ბიზნესის წარმოებისას, კომპანია ექვემდებარება სამართლებრივ ქმედებებსა და საჩივრებს. საკუთარ შეფასებასა და შიდა და გარე პროფესიონალურ კონსულტაციებზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შედარებით ახალია და ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებასა და ცვლილებებს და სასამართლო გადაწყვეტილებებს, რაც ხშირ შემთხვევაში საკმარისად ნათელი არ არის და შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. გადასახადები ექვემდებარება სახელმწიფო ორგანოების მიერ შემოწმებასა და კვლევას, რის შედეგადაც შეიძლება დაირიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოების მიერ შესწავლას ექვემდებარება სამი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ ვითარებაში, ეს პერიოდი შეიძლება გაიზარდოს. ასეთი გარემოებები, რომლებსაც საქართველოში საგადასახადო რისკებისკენ მივყავართ, არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები. კომპანიას იჯარით აღებული აქვს სხვადასხვა საცალო სავაჭრო ობიექტი და საწყობი შეუქცევადი საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებების საფუძველზე. საიჯარო ვადა ხუთიდან 10 წლამდეა. საიჯარო ხელშეკრულებების უმეტესობა განახლებადია საიჯარო პერიოდის ბოლოს საბაზრო განაკვეთით.

სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახადები შეუქცევადი საოპერაციო იჯარის პირობებით შემდეგია:

<i>ათასობით ლარში</i>	2019	2018
1 წლამდე	10,321	5,043
1 -დან 5 -წლამდე	38,517	19,655
5 წელზე მეტი	30,852	14,824
სულ საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები 31 დეკემბრის	79,690	39,522

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. 31 დეკემბრის მდგომარეობით უზრუნველსაყოფად კომპანიას დაგირავებული აქვს შემდეგი აქტივები:

<i>ათასობით ლარში</i>	შენიშვნა	2019	2018
ძირითადი საშუალებები	5	25,531	13,713
მარაგები	7	25,879	12,923
სულ დაგირავებული და შეზღუდული აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით		51,410	26,636

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვით კანონმდებლობაში მიმდინარეობს ცვლილებები, რაც არ გამოორიცხავს შემდგომში ახალი ვალდებულებების წარმოქმნას. კომპანია პერიოდულად აფასებს გარემოსდაცვითი რეგულაციების შესაბამისად ნაკისრ ვალდებულებებს. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას არსებული რეგულაციების, სამოქალაქო დავის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, არ შეიძლება შეფასდეს, მაგრამ შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ აქვს გარემოსდაცვით რეგულაციებთან შესაბამისობასთან დაკავშირებული რაიმე მიმდინარე ვალდებულება.

ფინანსურ შეზღუდვებთან (კოვენანტებთან) შესაბამისობა. კომპანია ექვემდებარება გარკვეულ ფინანსურ შეზღუდვებს, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია მის სესხებთან. აღნიშნული შეზღუდვების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები კომპანიისთვის, მათ შორის, სესხების ღირებულების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება. კომპანიას აღნიშნული შეზღუდვები არ ქონდა შესრულებული 2018 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2019 წლის 31 დეკემბერს კომპანიამ ბანკისგან მიიღო კონკრეტული კოვენანტის დარღვევის შესახებ შეტყობინება, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული ბანკის მიერ დეფოლტის წინაპირობად შესაბამისი სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე. 2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიას არ მიუღია შეტყობინება ბანკისგან, არანაირი უარყოფითი შედეგი არ აღინიშნა ბანკისგან, რადგან სესხი იყო მოკლევადიანი ხელშეკრულების ვადის თვალსაზრისით. (შენიშვნა 11).

18. საწარმოთა გაერთიანება

2018 წლის 8 იანვარს კომპანიამ შეიძინა ძირითადი საშუალებები, სხვა არამატერიალური აქტივები და შპს „მაგნიტის“ მარაგები. მენეჯმენტმა აღრიცხა გარიგება, როგორც საწარმოთა გაერთიანება, გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიამ შეისყიდა შპს „მაგნიტის“ ყველა აქტივი და დაიწყო მუშაობა იმავე ლოკაციებზე, სადაც ადრე კომპანია მუშაობდა. ძირითადად, ყველა თანამშრომელი გადავიდა შპს „რითეილ ჯგუფში“. შეძენილი ოპერაციები გაზრდის კომპანიის მიერ არჩეულ საცალო ბაზრებზე შეღწევას და, სავარაუდოდ, გააუმჯობესებს მომგებიანობას მასშტაბის ეფექტით.

გაერთიანების ღირებულება განისაზღვრა შემდეგნაირად:

<u>ათასობით ლარში</u>	2018
შესყიდვა:	
-გადახდილი ნაღდი ფული	3,299
-სავაჭრო ვალდებულება - დაიფარა 2019 წლის განმავლობაში	228
სულ შესყიდვა	3,527

შენაძენის შედეგად წარმოშობილი შპს „მაგნიტის“ აქტივების რეალური ღირებულება 2018 წლის 8 იანვრის მდგომარეობით შემდეგია:

<u>ათასობით ლარში</u>	რეალური ღირებულება
მარაგები	2,104
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 5)	1,810
არამატერიალური აქტივები, გუდვილის გარდა	72
შეძენილი აქტივების რეალური ღირებულება	3,986
გუდვილი	635
სულ შესყიდვის ანაზღაურება	4,621

გუდვილი მიეკუთვნება სამუშაო ძალას და ბიზნეს ოპერაციებს / პროცესებს.

19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, დაკავშირებული მხარეები წარმოადგენს მხარეებს, რომლებიც იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, ან რომელიმე მხარეს აქვს შესაძლებლობა გააკონტროლოს მეორე მხარე ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერაციული გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

დაკავშირებული მხარეების დაუფარავი ნაშთები:

		31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
<i>ათასობით ლარში</i>			
მოთხოვნები აქციონერთა მიმართ	სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები	-	2
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები	495	579
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	მთავარი ხელმძღვანელი პირები	98	19
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სხვა დაკავშირებული მხარეები	62	30
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები	-	(1)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მთავარი ხელმძღვანელი პირები	(5)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა დაკავშირებული მხარეები	(348)	(276)

"სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები" არიან ის პირები, რომელთაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ჯგუფის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებებში, რომელთაგანაც ისინი ტრანზაქციას ახორციელებენ, ჯგუფის 20% -ზე მეტი ხმის მიცემის უფლების კონტროლის გზით, ან სხვაგვარად.

დაკავშირებული მხარეების შემოსავლები და ხარჯები:

		31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
<i>ათასობით ლარში</i>			
მომწოდებლის მიერ ფასდაკლებები	სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები	1,633	846
საქონლის შესყიდვა გადაყიდვის მიზნით	სხვა დაკავშირებული მხარეები	(11,962)	(2,108)
ძირითადი საშუალებების შეძენა	სხვა დაკავშირებული მხარეები	-	(2,399)
არამატერიალური აქტივის შესყიდვა	სხვა დაკავშირებული მხარეები	-	(155)
შენახვისა და მიწოდების ხარჯები	სხვა დაკავშირებული მხარეები	-	(60)

მენეჯმენტის კომპენსაცია. მენეჯმენტისთვის გადახდილი კომპენსაცია აღმასრულებელი მენეჯმენტის თანამდებობებზე გაწეული სრული სამსახურისთვის განისაზღვრება 575 ათასი ლარის (2018: 355 ათასი) ოდენობის სახელფასო ანაზღაურებითა და პრემიით.

20. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ახალ ამბებში პირველად გაჟღერდა ჩინეთიდან COVID-19 (კორონავირუსის) გავრცელების შესახებ. წლის ბოლოსთვის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისთვის ცნობილი იყო უცნობი ვირუსის შემთხვევათა შეზღუდული რაოდენობა. 2020 წლის პირველ თვეებში, ვირუსი გავრცელდა გლობალურად და მისი უარყოფითი გავლენა გაიზარდა. მენეჯმენტი აღნიშნულ დაავადების გავრცელებას მიიჩნევს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენად. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მდგომარეობა კვლავ ნარჩუნდება ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დროს, დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნულს არანაირი

მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის გაყიდვებზე ან მიწოდების ჯაჭვზე, თუმცა, სამომავლო შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია.

კომპანიის საქმიანობაში განხორციელდა შემდეგი ძირითადი ცვლილებები:

- COVID-19-ით გამოწვეული ე.წ. ლოკდაუნის პერიოდში შემოსავლების მაჩვენებლები გაიზარდა, რადგანაც ბევრი მომხმარებელი დაბრუნდა იმ სოფლებში, სადაც კომპანიის სუპერმარკეტების უმრავლესობა მუშაობს. თუმცა, მეორე მხრივ, მთავრობის მიერ დაწესებული კომენდანტის საათის გამო, კომპანიას მოუწია სამუშაო საათების შეცვლა და სუპერმარკეტებში ვიზიტორთა რაოდენობის შეზღუდვა.
- გაიზარდა ხარჯები, რადგან კომპანიას მოუწია დაეცვა თანამშრომლებისა და მომხმარებლების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება; შესაბამისად, კომპანიამ შეიძინა დამცავი მოწყობილობა და სანიტარული საშუალებები;
- მენეჯმენტი და აქციონერები იმედოვნებენ, რომ მომდევნო პერიოდში გაიზრდება მომხმარებელთა რაოდენობა, რადგან ის სეგმენტი, რომელზეც კომპანია მუშაობს, ორიენტირებულია დაბალ ფასებზე და აქვს მაღალი შეღწევადოვა მთელი საქართველოს მასშტაბით;
- კომპანიას აქვს მიმდინარე მოლაპარაკებები საფინანსო ინსტიტუტთან დაუფარავ დავალიანებასთან დაკავშირებით. ანგარიშის ხელმოწერის თარიღისთვის რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

მენეჯმენტი გააგრძელებს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა შესაძლო ზომას უარყოფითი გავლენის შესამცირებლად.

2020 წლის 14 თებერვალს, საბჭომ გადაწყვიტა საწესდებო კაპიტალის გაზრდა 6,440 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი 18,509 ათასი ლარით. საწესდებო კაპიტალში შენატანი შეიტანეს მხარეებმა მათი წილების პროპორციულად: შპს რითეილ ინვესტმენტს - 3,864 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი 11,105 ათასი ლარი, შპს დოლნი ქენსალტენტს - 1,718 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი 4,936 ლარი და ზურაბი ხიზანიშვილი 858 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი 2,467 ათასი ლარი.

2020 წლის 14 თებერვალს, საბჭოს დადგენილების საფუძველზე, ზურაბი ხიზანიშვილის წილი გადაეცა შპს „მეიდანზე“-ს. ცვლილებები ძალაში შევიდა 2020 წლის 21 თებერვლიდან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის თანახმად.

2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კომპანიას აქვს 226 სუპერმარკეტი, დამატებით 19 გაიხსნება წლის ბოლოს.

შინაარსი

1. ბიზნესის განვითარება, საქმიანობა და პოზიცია	2
2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები.....	3
3. კომპანიის სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის მიმოხილვა;	4
4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ.....	4
5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	4
6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	5
7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები	5
8. საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი სახსრების მოძრაობის რისკების და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა	6
9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, კომპანიის მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით	6

შპს რითეილ ჯგუფი

მმართველობითი ანგარიში 2019

1. ბიზნესის განვითარება, საქმიანობა და პოზიცია

შპს „რითეილ ჯგუფი“ დაარსდა 2017 წლის 7 ნოემბერს და 2018 წლის იანვრიდან დაიწყო სუპერმარკეტების ქსელით ოპერირება „მაგნიტის“ ბრენდის ქვეშ.

კომპანიის მისია შემუშავდა შემდეგნაირად: რეგიონებში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და მეტი აქტივობების დანერგვა.

კომპანიის დევიზი არის „მაგნიტი“ საქართველოს ყველა რეგიონში!

„მაგნიტი“ არის სუპერმარკეტების ქსელი თბილისში, სადაც პროდუქციის მრავალფეროვანი არჩევანი და ფასდაკლების აქციებია, რომელიც აქცენტს ქსელის საქართველოს რეგიონებში განვითარებაზე აკეთებს.

იგეგმება მაგნიტის ქსელის გაფართოება საქართველოს მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, ქალაქებსა და სოფლებში.

სუპერმარკეტები მომხმარებელს მრავალფეროვან ასორტიმენტსა და ბრენდებს სთავაზობენ. კომპანიის სტრატეგია შემდეგია: მომხმარებლისთვის ყოველდღიურად ხელმისაწვდომი იყოს საჭირო და სასურველი საქონელი ყველა მაღაზიაში, მათ შორის მალფუჭებადი პროდუქცია, მშრალი კვება, ტკბილეული და საკონდიტრო ნაწარმი, აგრეთვე ექსკლუზიური ბრენდები არამალფუჭებად და არასასურსათო სეგმენტში.

სუპერმარკეტების ქსელი ორიენტირებულია რეგიონებში მომხმარებლებისთვის მარტივი და სასიამოვნო სავაჭრო გამოცდილების გაზიარებაზე.

კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2018 წლის დასაწყისში 22 სუპერმარკეტით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 117 სუპერმარკეტი უკვე ფუნქციონირებდა „მაგნიტის“ ბრენდის ქვეშ. 2019 წლის ბოლოს, კომპანიას ჰქონდა 207 სუპერმარკეტი. მნიშვნელოვანი გაფართოების შედეგად, 2019 წლის ბოლოს კომპანიას ეკავა წამყვანი პოზიცია რეგიონალური სუპერმარკეტების ქსელში და კონკურენტული პოზიცია თბილისში.

2019 წელს კომპანია ასევე იყო ორიენტირებული თბილისში გაფართოებაზე. 90 ახალი სუპერმარკეტიდან 25 გაიხსნა დედაქალაქში.

კომპანიის ზრდა მხოლოდ ორგანული განვითარების შედეგად მოხდა, სხვა ქსელების შეძენა არ მომხდარა. 2019 წელს გაფართოების ფინანსური წყარო იყო ბანკის გრძელვადიანი კრედიტი. 2019 წლის განმავლობაში, კომპანიამ თვეში საშუალოდ 7-8 სუპერმარკეტი გახსნა.

სუპერმარკეტი „მაგნიტი“ მომხმარებლებს სთავაზობს სასაქონლო პროდუქციის ფართო არჩევანს. კომპანიის ზოგადი პირობა მომხმარებლებისთვის არის "ყოველდღიური მაგნიტური ფასები", რამაც ხელი შეუწყო „მაგნიტს“ ბაზარზე პოზიციის მოპოვებაში.

ლოგისტიკა - 2019 წელს კომპანიას ჰქონდა ორი ცენტრალური საწყობი საქართველოს მასშტაბით. თბილისში, რომელიც ემსახურებოდა აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისში - დასავლეთ

საქართველოსთვის. იმის მიუხედავად, რომ პროდუქციის 90%-ის ტრანსპორტირებას მაღაზიებში თავად დისტრიბუტორები ახორციელებენ.

თავიდანვე კომპანიის სტრატეგია იყო რეგიონებში ქსელის განვითარება და აღნიშნული სტრატეგია გაგრძელდა 2019 წელსაც. თბილისის ფარგლებს გარეთ სუპერმარკეტების ქსელის განვითარება ძირითადად განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ რეგიონებში მოსახლეობის მხრიდან წამოვიდა მოთხოვნა პროდუქციის შეძენაზე ორგანიზებულ საცალო ვაჭრობის ქსელში, ჰიგიენის ნორმების დაცვითა და ხელმისაწვდომ ფასად.

„მაგნიტი“ არის ბრენდი, რომელიც ქალაქის თანამედროვე ცხოვრების რიტმს უზიარებს რეგიონს, ქმნის გადაკვეთის ცენტრებს!

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თბილისთან შედარებით უმუშევრობის დონე რეგიონებში გაცილებით მაღალია, თუ არ გავითვალისწინებთ თვითდასაქმებულ პირთა რაოდენობას. ამ რეგიონებში სუპერმარკეტების გახსნით, შპს „რითეილ ჯგუფმა“ შექმნა სამუშაო ადგილები და მოსახლეობას დასაქმების საშუალება მისცა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, „მაგნიტი“ თბილისში 2019 წელს შესამჩნევად გაფართოვდა. ცხრილის სახით წარმოგიდგენთ 2018 და 2019 წლებში რეგიონებში სუპერმარკეტების რაოდენობას.

რეგიონი	2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით		2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით	
	სუპერმარკეტების რაოდენობა	წილი	სუპერმარკეტების რაოდენობა	წილი
მცხეთა-მთიანეთი	14	12.0%	18	8.7%
შიდა ქართლი	20	17.1%	27	13.0%
ქვემო ქართლი	13	11.1%	23	11.1%
თბილისი	7	6.0%	32	15.5%
იმერეთი	28	23.9%	35	16.9%
სამცხე ჯავახეთი	2	1.7%	2	1.0%
სამეგრელო	20	17.1%	25	12.1%
კახეთი	12	10.3%	21	10.1%
გურია	1	0.9%	6	2.9%
აჭარა	-	0.0%	18	8.7%
სულ	117	100.0%	207	100.0%

„მაგნიტი“, როგორც ძლიერი ფილიალი რეგიონში, ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას დასაქმების, პროფესიული განვითარებისა და განათლების თვალსაზრისით ახალი შესაძლებლობების შექმნის გზით. კომპანიამ დაწერა თანამედროვე ცხოვრების წესი და სიახლეები, ისეთი პროდუქტები, რომლებიც ადრე მათთვის უბრალოდ ხელმისაწვდომი არ იყო; ქმნის ახალ ინფრასტრუქტურას საინტერესო სავაჭრო გამოცდილებისთვის.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

2020 წელს და შემდგომ პერიოდში, კომპანია თავისი საერთო სტრატეგიის ერთგული დარჩება, რაც გულისხმობს რეგიონში ლიდერობას და თბილისში ძლიერი და კონკურენტული ქსელის განვითარებას.

2020 წლის მდგომარეობით, კომპანიამ კიდევ 15 სუპერმარკეტი გახსნა, ხოლო 2020 წლის ივლისში კომპანიის სუპერმარკეტების რაოდენობამ 222-ს მიაღწია.

ახალი სუპერმარკეტების გახსნის გარდა, 2020 წელს და შემდგომ პერიოდში, კომპანია ორიენტირებული იქნება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე, მომხმარებლისთვის პროდუქციის უფრო ფართო ასორტიმენტის შეთავაზების, ასევე სუპერმარკეტში პროცესების სტანდარტიზაციისა და მერჩენდაიზინგის გზით.

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ზოგადი გზაა თანამშრომელთა მუდმივი გადამზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ უნარ-ჩვევების განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა, რასაც კომპანია განახორციელებს საკუთარი ხარჯებით.

მოსახლეობისთვის ოპტიმალური ასორტიმენტის შეთავაზება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა კომპანიისთვის. მიუხედავად იმისა, რომ შპს „რითეილ ჯგუფი“ ცდილობს მაქსიმალურად დაბალი ფასის შეთავაზებას, მისი სტრატეგიის ნაწილი არ არის ბრენდების შემოტანა შეზღუდული მრავალფეროვნებით და მომხმარებლების არჩევანის შეზღუდვა.

გარდა ამისა, 2020 წელს და შემდგომ პერიოდში, კომპანია აპირებს ბაზარს შესთავაზოს სხვადასხვა სიახლეები და მარკეტინგული საქმიანობა.

3. კომპანიის სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის მიმოხილვა;

2019 წელს კომპანია არ ეწეოდა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანია სუპერმარკეტების ქსელით ოპერირებს მთელი საქართველოს მასშტაბით, ცხრა რეგიონსა და თბილისში.

კომპანიას აქვს ერთნაირი კონცეფცია ყველა სუპერმარკეტში ყველა ადგილზე ასორტიმენტის შენარჩუნებით, საერთო ფასების პოლიტიკისა და მომხმარებლებისთვის შეთავაზებული ერთდროული აქციების უზრუნველყოფით.

საალრიცხოვო წლის განმავლობაში სუპერმარკეტების საშუალო ფართობია 200 მ².

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ზოგადი ფინანსური მაჩვენებლები:

	2018	2019	ზრდა/(კლება)
შემოსავალი დღგ – ს გარეშე	69,372	194,526	180%
საერთო მოგება	10,707	32,828	207%
საერთო მოგების მარჟა	15.43%	16.88%	
სხვა შემოსავალი	351	1,128	221%
კომერციული ხარჯები	(11,088)	(34,637)	216%
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,953)	(6,256)	102%

1) შემოსავალი დღგ-ს გარეშე - კომპანიის შემოსავლის 100% მოიცავს პროდუქციის გაყიდვას საბოლოო მომხმარებელზე პირდაპირ სუპერმარკეტებიდან. 2019 წელს ამ მაჩვენებელმა 194.5 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 2018 წელს - 69.4 მლნ.

2) საერთო მოგება - საერთო მოგებასთან მიმართებაშიც დაახლოებით იგივე ზრდის ტემპი აღინიშნა, რაც შემოსავლების შემთხვევაში. საერთო მოგება სამჯერ მეტი იყო 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით და მან 32.8 მლნ ლარი შეადგინა.

3) საერთო მოგების მარჟა - 2019 წელს საერთო მოგების მარჟა მცირედით გაიზარდა 2018 წელთან შედარებით და მან 16,88% შეადგინა.

- 4) სხვა შემოსავალი - სხვა შემოსავლის 80% წარმოადგენს ოპერაციულ შემოსავალს იჯარიდან, მარკეტინგული მომსახურებიდან და მომწოდებლებთან განხორციელებული სხვა საქმიანობიდან.
- 5) კომერციული ხარჯები - გაყიდული საქონლის ღირებულების გარდა, ყველაზე დიდი ხარჯია კომერციული ხარჯები, რაც არის მთლიანი ხარჯების 17% და 2019 წელს შეადგენს 34.6 მილიონი ლარს. აქედან:

ა) ყველაზე დიდი ნაწილი სუპერმარკეტის თანამშრომელთა ხარჯებზე მოდის - 14.3 მილიონი ლარი

ბ) სუპერმარკეტების საოპერაციო იჯარა - 7.6 მილიონი ლარი.

- 6) საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები - ეს პუნქტი დაახლოებით ორჯერ გაიზარდა 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით. აღნიშნულში შედის: ადმინისტრაციული ხელფასის, სათაო ოფისის იჯარის, კომუნალური მომსახურების, დაზღვევის, მივლინებების და ა.შ. ხარჯები.

	2018	2019	ზრდა/(კლება)
გრძელვადიანი აქტივები	15,240	27,152	78%
მარაგები	12,923	28,879	100%
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,031	8,252	37%

- 1) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის გრძელვადიანმა აქტივებმა შეადგინა 27.1 მილიონი ლარი, ხოლო 2018 წელს - 15.2 მილიონი ლარი. აღნიშნული კაპიტალდაბანდებები სრულად განხორციელდა 2018 და 2019 წლებში და ემსახურებოდა საქართველოს მასშტაბით ახალი სუპერმარკეტების გახსნას.
- 2) კომპანიის მარაგის ნაშთი 25,88 მლნ ლარია. აღნიშნული პროდუქცია განთავსებულია 207 სუპერმარკეტსა და კომპანიის ორ საწყობში. სუპერმარკეტში მარაგი 125,000 ლარს შეადგენდა.
- 3) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -ამ პუნქტიდან 5.9 მლნ ლარი არის მოთხოვნები მომწოდებლების მიმართ (რეტრო-ბონუსები).აღსანიშნავია, რომ კომპანიას აქვს ვალდებულებები იგივე მომწოდებლების წინაშე და პერიოდის ბოლოს შეადგენს 42.9 მილიონ ლარს.
- 4) 2019 წელს კომპანიამ გამოიყენა სს „თიბისი ბანკის“ საკრედიტო ხაზი 5 მილიონი ლარის ოდენობით. აღნიშნული კრედიტი მოკლევადიანია, თუმცა მისი შინაარსის თვალსაზრისით, იგი არის გრძელვადიანი კრედიტი, რადგან ვადის გასვლისთანავე შეიცვლება ანალოგური პირობებით. კომპანიას ასევე აქვს 10 მლნ ლარის ოდენობის გრძელვადიანი კრედიტი „თიბისი ბანკში“.

ზოგადი არაფინანსური მაჩვენებელი

- 1) 2019 წლის ბოლოს კომპანიას ჰყავდა 3,500 თანამშრომელი, ხოლო 2018 წლის ბოლოს - 1700 თანამშრომელი.
- 2) 2019 წელს კომპანია თვეში საშუალოდ 158 ახალ თანამშრომელს იყვანდა.
- 3) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა პროპორციული განაწილება შემდეგნაირი იყო: 70% - ქალი, ხოლო 30% - კაცი.
- 4) რეგიონების მიხედვით თანამშრომელთა პროპორციული განაწილება დაახლოებით ერთნაირია, თუმცა კონკრეტულ სუპერმარკეტებში პროპორცია განსხვავდება.
- 5) შპს „რითილ ჯგუფის“ სტრატეგია არ არის კაპიტალდაბანდებების განხორციელება (უძრავ ქონებაში), არამედ სუპერმარკეტების ქსელის განვითარებაზე ორიენტირებაა. ამიტომ, 207 სუპერმარკეტიდან კომპანიის საკუთრებაში მხოლოდ ორია - დანარჩენი იჯარითაა აღებული.

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

აღნიშნული ინფორმაცია არა რელევანტურია კომპანიისთვის.

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები

კომპანიის ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია, რაც გამოიხატება შემდეგში:

- 1) კომპანიის ვალდებულებების 100% დენომინირებულია ეროვნულ ვალუტაში;

- 2) კომპანია იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც შევიდა რეგიონებში, სადაც არ იყო ორგანიზებული საცალო ვაჭრობა. შესაბამისად, კომპანიას ჰყავს ერთგული მომხმარებლები, რამდენადაც ეს შესაძლებელია აღნიშნულ სექტორში;
- 3) ბრენდის შესახებ ინფორმირებულობა საკმაოდ მაღალია იმ რეგიონებში, სადაც სუპერმარკეტი „მაგნიტი“ ოპერირებს;
- 4) შპს „რითეილ ჯგუფი“ არ არის დამოკიდებული მოვალეებზე და გადასახადებზე ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე. თავად კომპანიას აქვს ვალდებულებები თავისი მოვალეების აბსოლუტური უმრავლესობის წინაშე. აღნიშნული ვალდებულებები ყოველთვის აღემატება მოთხოვნებს.

8. საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი სახსრების მოძრაობის რისკების და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

- 1) კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკი, რადგანაც მისი შემოსავლის 99% მოდის საბოლოო მომხმარებელზე დაუყოვნებლივი გადახდის პირობით.
- 2) ლიკვიდურობის რისკი შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ვალდებულებები მნიშვნელოვნად აღემატება აქტივებს. აღნიშნული არ შეიმჩნევა ფინანსურ მაჩვენებლებში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგანაც მთლიანი მიმდინარე აქტივები არის მთლიანი მიმდინარე ვალდებულებების 82%, „თიბისი ბანკის“ საკრედიტო ხაზის გამოკლებით, რომელიც გაცემულია ერთი წლის ვადით, ყოველწლიური განახლების აუცილებელი პირობით. აღნიშნული ვალდებულება მისი შინაარსიდან გამომდინარე არის გრძელვადიანი, თუმცა ხელშეკრულება გაფორმებულია 1 წლით და ვადის გასვლის შემდეგ გახანგრძლივდება / შეიცვლება.
- 3) საბაზრო რისკისთვის შეიძლება განვიხილოთ გაცვლითი კურსის ცვალებადობა და ლარის დევალაცია უცხოური ვალუტის მიმართ. იმის გამო, რომ კომპანიის ვალდებულებების 100% ლარშია დენომინირებული, შესყიდვა და შემოსავალი ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, ამის გამო აღნიშნული რისკები არის მინიმუმამდე დაყვანილი. რა თქმა უნდა, უცხოური ვალუტის მიმართ ეროვნული ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში, იმპორტირებული პროდუქციის ფასი გაიზრდება და ასეთ შემთხვევაში, შპს „რითეილ ჯგუფს“ მოუწევს აღნიშნული ზრდა ასახოს გაყიდვების ფასებზე. სხვა კონკურენტებიც იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, რაც კონკურენტულ უპირატესობას არავის მისცემენ.
- 4) ფულადი სახსრების მოძრაობის რისკი - ამგვარი რისკი, ძირითადად, წარმოიშობა იმ შემთხვევებში, როდესაც კომპანია მიმართავს მოკლევადიან ფულად რესურსებს, რომელიც განკუთვნილია საბრუნავი კაპიტალისთვის, გრძელვადიანი აქტივების შესაძენად, ამიტომ არსებობს რისკი, რომ კომპანიას არ ექნება საკმარისი თანხა მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარად. კომპანიის მენეჯმენტი განაგებს პროცესებს და იღებს გადაწყვეტილებებს ფულადი სახსრების მოძრაობის რისკების თავიდან ასაცილებლად.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, კომპანიის მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით

სექტორი, რომელშიც ჩართულია „რითეილ ჯგუფი“, ხასიათდება რამდენიმე კონკრეტული რისკით.

მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია კონკურენციის რისკი. იმის გამო, რომ:

- a) საცალო ვაჭრობის სექტორს არ ახასიათებს მაღალი ბარიერები, რომლებიც შექმნილია ახალი მოთამაშეებისთვის ბაზარზე შესასვლელად. ფაქტობრივად, სექტორში შესვლა ყველას შეუძლია, ვისაც აქვს შესაბამისი ფინანსური რესურსი და ნახავს შესაბამის პერსონალს;
- b) საცალო ვაჭრობის სექტორის მომხმარებლებს არ ახასიათებთ ერთგულება. ისინი მოქნილები არიან სხვადასხვა ფაქტორების მიმართ და სხვა სექტორების მომხმარებლებისაგან განსხვავებით კონკურენტებს ადვილად შეუძლიათ მათი გადაბირება;

- ც) 2019 წლის მონაცემებით, ბაზარზე კონკურენცია ძალიან მაღალია. კონკურენტები მაქსიმალურად ცდილობენ, მოიპოვონ ბაზრის წილი და გახსნან რაც შეიძლება მეტი სუპერმარკეტი.

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რისკად შეიძლება ჩაითვალოს კონკურენტების აქტიური კამპანიები და შპს „რითეილ ჯგუფის“ მიერ ბაზრის წილის დაკარგვა. თუმცა, კომპანია მუდმივად ცდილობს შეისწავლოს და დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება მომხმარებლების ახალ საჭიროებებზე, შესთავაზოს მათ სიახლეები, გააუმჯობესოს და ოპტიმალური გახადოს ასორტიმენტი, დახვეწოს მომსახურების ხარისხი. ზემოაღნიშნული საკმიანობის შედეგად, კომპანია მოახერხებს დროულად მოახდინოს რეაგირება კონკურენტების აქტიურ კამპანიებზე.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც უნდა აღინიშნოს ამ თემაზე საუბრისას, არის ის, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს საცალო ვაჭრობის სექტორის მხოლოდ 30% ითვლება, რომ ეწევა ორგანიზებულ საცალო ვაჭრობას. ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ არსებულ სუპერმარკეტების ქსელებს შეუძლიათ კიდევ უფრო განვითარება და ბაზრის წილის გაზრდა არაორგანიზებული საცალო ვაჭრობის ხარჯზე.

საცალო ვაჭრობისთვის, ისევე როგორც ყველა სხვა სექტორისთვის, ეკონომიკური და პოლიტიკური რისკები საკმაოდ მნიშვნელოვანია. ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით არასტაბილურ გარემოში, ვერცერთი ბიზნესი ვერ შეძლებს განვითარებას და ვერ ექნებათ ფინანსურად მდგრადი მდგომარეობა, ეს ეხება საცალო ვაჭრობის სფეროში მოქმედ კომპანიებსაც. შესაბამისად, ეს ნაწილი ძალზე მნიშვნელოვანია და საყურადღებოა აღნიშნული რისკების ანალიზის დროს. კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად აკვირდება ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს და საჭიროების შემთხვევაში, მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს შემდგომი რისკების თავიდან ასაცილებლად.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია ზოგადად ვაჭრობს იმ საქონლით, რომელზეც არასტაბილური გარემო, სხვა სექტორებთან შედარებით, ყველაზე ნაკლებად უარყოფითად მოქმედებს.

მატერიალური ფასეულობების დაზიანების, დაკარგვის, ქურდობისა და გაფუჭების რისკი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რისკია ამ სექტორისთვის, რადგანაც ობიექტები ფართოდ არის გავრცელებული მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც ართულებს მატერიალური ფასეულობების მოვლის პროცესს და მნიშვნელოვნად ზრდის ხარჯებს.

ამ რისკის უზრუნველსაყოფად, კომპანიამ შექმნა ძლიერი და მობილური მონიტორინგის განყოფილება, რომელიც მაქსიმალურად მონაწილეობს მატერიალური ფასეულობების პერიოდულ დათვლისა და კონტროლის პროცესში.

როგორც საანგარიშო წლის შედეგებიდან ირკვევა, კომპანიას 2018 და 2019 წლებში ჰქონდა მაღალი ზრდის ტემპი. ცნობილია, რომ სწრაფ ზრდას თან ახლავს ისეთი პრობლემები, როგორიცაა მენეჯმენტის ყურადღების შესუსტება მიმდინარე საოპერაციო საკითხების მიმართ, ლოგისტიკური პრობლემები, ხარჯების არაეფექტური განაწილება და ა.შ. მენეჯმენტი ვალდებულია, სათანადო ყურადღება მიაქციოს აღნიშნულ საკითხს.

COVID 19-ის გავლენა: 2019 წლის ბოლოს პირველად გაჟღერდა ინფორმაცია ჩინეთიდან COVID-19 (კორონავირუსის) გავრცელების შესახებ. წლის ბოლოსთვის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისთვის ცნობილი იყო უცნობი ვირუსის გავრცელების შემთხვევათა შეზღუდული რაოდენობა. 2020 წლის პირველ თვეებში, ვირუსი გავრცელდა გლობალურად და მისი უარყოფითი გავლენა გაიზარდა.

მომხმარებლების მხრიდან იყო გარკვეული სახის მოლოდინი, რომ მთავრობა გამოაცხადებდა გრძელვადიან კომენდანტის საათს / კარანტინს და მათ დაიწყეს პროდუქციის დიდი რაოდენობით

შემენა და მომარაგება. აღნიშნულმა გამოიწვია პირველ თვეებში შემოსავლების მაჩვენებლების ზრდა. მოგვიანებით, შესყიდვები დასტაბილურდა, მაგრამ მომხმარებლებმა რატომღაც შეცვალეს შესყიდვის ქცევა და გადავიდნენ უფრო იაფი საქონელის შეძენაზე.

ხელმძღვანელობამ ყველა საჭირო ნაბიჯი გადადგა, პირველ რიგში, თანამშრომლებისა და მომხმარებელთა ჯანმრთელობის დასაცავად და ჩვენს მარკეტებში ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად - პერსონალი აღჭურვილი იყო დამცავი ნიღბებითა და ხელთათმანებით. მარკეტები აღიჭურვა სადეზინფექციო საშუალებებით.

პირველ თვეში კომპანიამ მოახერხა თავიდან აეცილებინა მარკეტებში სასურსათო პროდუქციის დეფიციტი, მაშინ როცა აღნიშნული პრობლემა თბილისსა და რეგიონებში ბევრ მარკეტს შეეხო. რის შედეგადაც, შემოსავალი არ შემცირდა და მომხმარებლები კმაყოფილნი დარჩნენ.

მოგვიანებით, "მაგნიტმა" მომხმარებლებს შეთავაზა სპეციალური აქციები გარკვეულ კატეგორიებზე და განსაკუთრებით იმ საქონელზე, რომელზეც დიდი მოთხოვნა იყო.

პანდემიის მიუხედავად, 2020 წელს თითო მაღაზიის შემოსავალი 2019 წელთან შედარებით იზრდება და მომხმარებლები კმაყოფილნი არიან ჩვენი სპეციალური შეთავაზებებით.

თარიღი

ლაშა ჩოჩელი

დირექტორი

გიორგი ტაბახმელაშვილი

ფინანსური დირექტორი